სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 14 ივლისი 1999 №131 (904) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ სტადიონს გამოკეტვა ელის

სტადიონს თუ არ მიეხედა, უეფა თბილისის „დინამოს“ ეროვნულზე არ ათამაშებს

ურონალდოოდ და ურივალდოოდ!

კონფედერაციის თასზე ბრაზილიას რონალდო და რივალდო დააკლდებიან

ჩეხი ფლორენციაში



პაველ ნედვედი რომის „ლაციოდან“ შესაძლოა „ფიორენტინაში“ გადავიდეს

ევროლიგა 1999-2000

კონტინენტის საკლუბო ელიტა ტურნირამდე 10 კვირით ადრე

ქართველთა თავგადასავალი კუნძულ ფანიოზე

ჩვენი პირველი მედლები ოლიმპიური დღეებიდან

სპორტის დეპარტამენტს შეხიზნულ ფედერაციას ძველი ბინის აუქციონზე გაყიდვით ემუქრებიან

გუშინ შევიტყვეთ, რომ ფეხბურთის ფედერაციამ დიდუბის რაიონის სავადასახადო ინსპექციიდან დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი, ფაქტობრივად კი ულტიმატუმი მიიღო, თუ ამა წლის 20 ივლისამდე სფფ დავალიანებას არ დაფარავს, მაშინ მისი უძრავ-მოძრავი ქონება აუქციონზე გაიყიდებაო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და დიდუბის სავადასახადო ინსპექციის მარათონული დავის ამბავი თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ამ ორ ორგანიზაციას შორის ტკბილი ურთიერთობა რომ არ სუფევს, ამას სფფ-ს გაყინული ანგარიშიც მოწმობს. თებერვლის შემდეგ, რაც სფფ-ს საბანკო ანგარიში დაყადაღებულია, ამ ორ ორგანიზაციას შორის არაერთი მოლაპარაკება გაიმართა, თუმც ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია — სავადასახადო კუთვნილი ვალის დაბრუნებამდე ყადაღის მოხსნას არ აპირებდა, რაც ფედერაციის თანამშრომლებსაც დაეტყოთ — გეხსომებათ, ერთი ხანობა ქართველი მსაჯები დაგვიანებული ხელფასების მოლოდინში იყვნენ.

ბუნებრივია, სფფ-ს ხელმძღვანელობა გარკვეული პრობლემის წინაშე იდგა. გენერალური მდივანი შიშობდა, საქართველო — სლოვენიის მატჩი არ ჩავეშალოსო (სტუმრების მიღებგასტუმრებას ხომ სოლიდური თანხები სჭირდებოდა). ჩოლარია ბევრს მუშაობდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამას წინათ (ნორვეგიის ნაკრებთან მატჩის წინ) სავადასახადო ინსპექციის უფროსსაც შეხვდა და თითქოს შედეგიც გამოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ჩოლარიამ განაცხადა, რომ სავადასახადო, ფედერაციასთან მიმართებაში ხელჩასაჭიდ ერთ პროცენტსაც გამოიყენებდა და ყოველივეს ორივე მხარისთვის სასარგებლოდ გადაწყვეტდა — ისინი ახლიდან შეისწავლიან ყველა საბუთს და, ალბათ, გარკვეულ კომპრომისზეც წამოვლენ — ეს გენერალური მდივნის მაშინდელი სიტყვებია.

მაშინდელი, გუშინ კი ვალერი ჩოლარიამ ამ თემაზე ვრცლად საუბარი არ ისურვა:

— სავადასახადოდან წერილი მივიღეთ. რამდენადაც ვიცი, ქონების გაყიდვით გვემუქრებიან, მე ეს წერილი არ მაინტერესებს, არც წამიკითხავს, საზრუნავი უამისოდაც ბევრი მაქვს. კარგად იყავით — ლაკონური იყო გენმდივანი.

ჯანდაბას ამეზარი ჟურნალისტი, მაგრამ სავადასახადო ინსპექცია დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ძირძველი ნავსაყუდელის (იამანიძის №5) გაყიდვით იმუქრება (სხვა უძრავ-მოძრავს თავი რომ დავანებოთ) და ეს მაშინ, როცა ფედერაცია ფაქტობრივად სპორტის დეპარტამენტსაა შეხიზნული.

ყოველივეს სკანდალის სუნი სდის, სკანდალს კი სიკეთე ვისთვის მოუტანია. ჰოდა, იქნებ სჯობდეს, ბატონმა გენერალურმა მდივანმა სხვა საზრუნავი დროებით გვერდით გადადოს და სავადასახადოს უსტარით დაინტერესდეს — გამოსავალი ხომ ყოველთვის მოინახება.



ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

საგადასახადო ფეხბურთის ფედერაციას იამანიძის №5-ის გაყიდვით დაემუქრა

მიკა სალო

მიკა სალო: ავარიული კარიერა

ულიდეროდ დარჩენილ „ფერარიში“ მიხაელ შუმახერს შეცვლის კაცი, რომლის კარიერა სხვათა ფეხის მოტეხვაზეა აწყობილი

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ბევრი მსჯელობისა და მოლაპარაკებების მერე „ფერარის“ თავკაცებმა გუშინ საღამოს „სილვერსტოუნზე“ სიკვდილს ბედად გადარჩენილი მიხაელ შუმახერის შემცვლელის ვინაობა გამოაცხადეს. შუმის გამოჯანმრთელებამდე „ფერარის“ საჭეს ფინელი მიკა სალო მიუჯდება.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

ბოქლომი?

ეროვნულ სტადიონს თუ არ მიეხედა, უპატრონო სახლივით გამოკეტვა მოუწევს

უკვე რამდენი ხანია, ეროვნულ სტადიონზე შექმნილ პრობლემებზეა ლაპარაკი.

მოუწესრიგებელი ელექტრომეურნეობა, დაუმონტაჟებელი ინდივიდუალური სკამები, უხარისხო მინდორი, დაბზარული კედლები, გვირაბში დაგუბებული მეტრანახევრამდე წყალი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ძალიან შორს — ეროვნული სტადიონი სავალალო დღეშია.

ავად თუ კარგად აქამდე ამ სარბიელს არაერთი საერთაშორისო, ფიფაუეფას ეგიდით ჩატარებული მატჩებისთვის უმასპინძლია. თბილისში მოვლენილი დელეგატებიც ხშირად თავს იკავებდნენ, პატაკში ცუდს არაფერს წერდნენ, ბევრ დარღვევაზე თვალს ხუჭავდნენ. დღემდეც ისეა საქმე, რომ ეროვნულზე ჩასატარებელი თამაში სხვაგან არ გამართულა. ფეხბურთის უცხოელი მამებიც თავს იქნევდნენ, ჯანდაბას, როგორი სტადიონიც გაქვთ, ითამაშეთ, ოღონდ იქაურობა მალე მოაწესრიგეთო — ამბობდნენ.

ის „მალე“ აღარ დაილია. ერთი წელი, ორი, სამი... უეფასაც მობეზრდა ქართველთა უმაქნისობა და შემოთვალა, თუ სასწრაფოდ სტადიონს სათანადოდ არ მოამზადებთ, სხვა ქვეყანაში მოგიწევთ მასპინძლის რანგში ყოფნაო. ჩვენებურ ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ კი, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრა ჩაუფიქრებია. ღმერთმა ქნას, მან მართლაც რომ დაძლიოს ორი საკვალიფიკაციო ეტაპი და ჯგუფში ამოყოს თავი, ამბავი მერე ნახეთ. უეფაში ბავშვები არ მუშაობენ, კანფეტი მიაწოდო და გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვო.

მას შემდეგ, რაც 1976 წელს ეროვნული სტადიონი გაიხსნა, კოსმეტიკური სამუშაოების, ოცი ათასი ინდივიდუალური სკამისა და რამდენიმე ათეული ძველებური პროჟექტორის დამონტაჟების გარდა იქ არაფერი გაკეთებულა, თუმცა გადაკეთდა — სტადიონი სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა. აქციები სამად გაიყო — 62 პროცენტი ქალაქის მერიას, 33 — სპორტსაზოგადოება „დინამოს“, ხუთიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ერგო. მაშინ სტადიონი რენტაბელური იყო, წელიწადში მილიონ ექვსასი ათასი მანეთი შესდიოდა, აქედან კომუნალური გადასახადებისთვის კაპიკები გადიოდა-ახლა ეროვნული წამგებიანია, რომელიც წესითა და კანონით უნდა დიხუროსო — გვითხრა სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის“ თავმჯდომარემ, ბატონმა გივი მაზიაშვილმა.

როგორია? რა ჯობს, ქვეყნის ცენტრალური არენა დაიხუროს თუ კეთილმოეწყოს? ალბათ, მეორე, არა? რა თქმა უნდა. ამისათვის კი რაც არის საჭირო, კარგად გეცოდინებათ — ფული, რომელიც დამფუძნებელთაგან არც ერთს აქვს. ყველაზე მეტს, გივი მაზიაშვილის თქმით, ქალაქის მერია გამოდის, მაგრამ არაა არ იქნება საკმარისი. ფედერაციასაც მიუძღვის წვლილი, ჩვენს სტადიონზე დღემდე რომ არ აკრძალულა საერთაშორისო მატჩებიო — დაამატა მაზიაშვილმა.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კი, თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ერთი თეთრიც არ გაუღია სტადიონის მისახედად, რის გამოც მაზიაშვილი და კომპანია აუდიტორის მიწვევას აპირებენ. არ არის გამორიცხული, საზოგადოება „დინამოს“ ის 33 პროცენტი მნიშვნელოვნად შეუმცირდეს. მას სტადიონის მესურვეთათვის შეუთვლია, ჯერ ვალები გაისტუმრეთ და როცა მოგებას ნახავთ, კუთვნილი წილიც მაშინ მოგვეციო. ეროვნულს კი მერიის ვალი ჰქონია, თანაც ძალიან ბევრი. ქალაქის თავებს ეროვნული სტადიონის გადასახადი, 290 ათასი ლარი ურთიერთჩათვლების პრინციპით გამოუქვითავთ, 165 000 სააქციო საზოგადოებას გადაურიცხეს და წლის ბოლომდე დაახლოებით 200 ათასსაც შეჰპირებიან.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ფული არ ჩანს, არც პერსპექტივა.

მარტო ელექტრომეურნეობის სათანადოდ მოწყობისთვის თურმე 375 ათასი ამერიკული დოლარია საჭირო, წყალგაყვანილობისთვის — 250 ათასი ლარი, აღარაფერს ვამბობთ დანარჩენ სამუშაოთა შესასრულებელ თანხაზე.

— ჩვენ ერთი თამაშისთვის სტადიონის მომზადება დაახლოებით 4 000 ლარი გვიჯდება. მართალია, თბილისის „დინამომ“, რომელიც მატჩებს ამ არენაზე ატარებს, გვითხრა, შემოსავალი მთლიანად თქვენი იყოსო, მაგრამ რად გინდა, ხომ იცით, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს რამდენი მაყურებელიც ესწრება. შემოსავლის ძირითად ნაწილს კი, სწორედ გაყიდული ბილეთები შეადგენს. წელიწადში სადღაც 50 000 ლარის შექუჩებას ვახერხებთ, მაშინ, როცა ამ თანხის თითქმის ნახევარი გადასახადებისთვისაა საჭირო. ამიტომაც კომერციული საქმიანობა დავიწყეთ. ეს ავეჯი, სტადიონის ტერიტორიაზე რომ აწყვია, შემოსავლის უმთავრესი წყაროა, ავეჯით მოვაჭრეთა გადასახადებით ვსულვდგმულობთ. ახლა კი გადავწყვიტეთ, ვაჭრობას ცივილური სახე მივცეთ და სტადიონის შენობის კოლონებს შორის ოცამდე მაღაზია მოვაწყოთ. ასევე ჩაფიქრებული გვაქვს კოხტა, ხელოვნურსაფრიანი მინი-ფეხბურთის მოედნების მოწყობაც, ისეთების, როგორიც ვაკეშია ესეც დამატებითი შემოსავალი იქნება. სხვა მხრივ არაფერი გამოვა — გვითხრა საუბრის ბოლოს გივი მაზიაშვილმა.

როგორც შევიტყვეთ, ეროვნულ სტადიონს ჩემპიონთა ლიგისა და სხვა რანგის მატჩების სათანადოდ სამასპინძლოდ, 46 000 ინდივიდუალური სკამის დამონტაჟებისთვის, განათების მოსაწესრიგებლად ორმილიონნახევარი დოლარი სჭირდება.

ჯერჯერობით სანუგეშოც არაფერია და ცოტა ხანში, ნულარ გაიკვრებთ, ეროვნულ სტადიონს დიდი ბოქლომი თუ დაედება.

თბილისის „დინამო“ რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვდეს და სტადიონი იქამდე შესაბამისად არ მომზადდეს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თბილისში მატჩები არ ჩატარდება.

აბა, 20 ათას ინდივიდუალურ სკამზე ქართველი და სტუმარი გუნდის ქომაგი ერთად დაეტევა, თანაც ნახევრად ჩაბნელებულ სტადიონზე?...

კოტა ინასარიძე



ბადრი ჯელელაძის ფოტო

ეროვნულ სტადიონს ბოქლომის დადება და მთლად გაუკაცრიელება ემუქრება

0:3 ჰერაკლესთან!

ბოსკამპი თავდამსხმელებზე ფიქრობს

ჰოლანდიაში საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ჩვენებურები ჰოლანდიის მეორე ლიგის „ჰერაკლესთან“ 0:3 დამარცხდნენ.

როგორც ეპედან იოჰან ბოსკამპის თანაშემწე გია გეგუჩაძემ გვითხრა, დიდი ანგარიშით წაგების მიუხედავად გუნდის თამაშით კმაყოფილები ვართ, ბევრი რამ შევამოწმეთ და ერთხელაც დავრწმუნდით, რაზე გვმართებს აქცენტის გაკეთება. ბოსკამპი თავდამსხმელთა თამაშითაა უკმაყოფილო. ისინი უამრავ საგოლე მომენტს ვერ იყენებენო, განგვიცხადა თანაშემწემ.

თბილისის „დინამომ“ კი „ჰერაკლესთან“ ბრაზილიელი ლეგიონერით ითამაშა, რომელზეც გეგუჩაძე საკმაოდ კარგი აზრისაა, ეგაა, რომ ცოტა მოუმზადებელიაო. დე სოუზას გარდა „ჰერაკლესთან“ ჩვენებურთა კარი აკაკი დევაძეს დაუცავს.

დევაძე, დიდავა, ვაშაკიძე (პ. ჯინჭარაძე), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი, ს. გიგიაძე (გ. შენგელია), სიჭინავა (გუჩუა), კიკნაძე (ქებაძე), ვ. გიგიაძე, აშვეთია (წიტაიშვილი), დე სოუზა (ხომერიკი)

მცირე ტრავმები აწუხებთ სოსო გიგიაძესა და წიტაიშვილს. „ჰერაკლესთან“ გიგიაძე სულაც პირველივე ტაიმში შესაცვლელი შეიქნა.

დღეს ჩვენებურები კიდევ ერთხელ ითამაშებენ, ოღონდ გუნდს იოჰან ბოსკამპი ვერ უხელმძღვანელებს, იგი ირლანდიაში გაფრინდა და „სენტ პატრიკისა“ და „ზიმბრუს“ მატჩს დაესწრება. მათგან ერთ-ერთი ხომ „დინამოს“ მეტოქე იქნება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ძოგა ინასარიძე

თბილისის სიახლენი

პირველი ლიგის დებიუტანტი, დედაქალაქის „თბილისი“ სერიოზულ სამზადისშია. მართალია, გუნდმა დროებით შვიდი ფეხბურთელი მოისაკლისა, მაგრამ ისინი თვრამეტწლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე გამოსასვლელად შვედეთში იმყოფებიან. მათ უკეთესად მომზადებას კი კლუბის მესვეურები ვერც იფიქრებდნენ.

„დინამოს“ ყოფილი შვილობილი ჩემპიონთა ჰოლანდიაში ყოფნის გამო დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს და პირობებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილია.

გავიგეთ, „თბილისში“ ახალი ფეხბურთელები გამოჩნდნენ და მათი ვინაობის დასაკონკრეტებლად გუნდის მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს შევეხმიანეთ. კორღალიძემ ამომწურავი ინფორმაცია მოგვცა ახალწვეულთა შესახებ.

მაშ ასე, „თბილისის“ ღირსებას მომავალ ჩემპიონატში შემდეგი ფეხბურთელებიც დაიცავენ: შალვა ისიანი, რომელიც რუსულ რიჟნი ნოვგოროდის „ტორპედოში“ ირჯებოდა და მეათე ჩემპიონატის მიწურულს ბოლნისის „სიონს“ დაუბრუნდა.

„არსენალის“ ყოფილი გოლკიპერი თემურ ჩლაიძე. იგი ბოლოხანს მეზობელ აზერბაიჯანში იყო გადახვეწილი, იქაური „ყარაბახის“ ინტერტოტოს თასის გათამაშებაში დასახმარებლად. პირველ ეტაპზე ხაიფას „მაკაბის“ მძლეველი „ყარაბახი“, როგორც იცით, მეორეზე ფრანგულმა „მონპელიემ“ იმსხვერპლა და ჩლაიძემაც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აზერბაიჯანული კლუბი დატოვა.



ოთარ კორღალიძე

„დინამოს“ კუთვნილება კახა ებრალიძე, რომელიც მეათე ეროვნულის პირველ წრეში თსუ-ში იყო განათხოვრებული. ტრავმის გამო ებრალიძეს მეორე წრე ფაქტობრივად გაუცდა.

„ბათუმის“ ახალი მწვრთნელის, იტალიელი ჯანი კარნევალეს დაწუნებული და გუნდიდან გაშვებული დიმიტრი ვერემჩუკი.

თსუელი ზაზა ზამთარაძე და ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი, 17 წლის რომან ჩხაიძე.

ხვიჩა სანიკიძე

ფრუიძემ დარსაძე შეიმატა

სამტრედიის „იბერიამ“ სიტყვა არ გატეხა და XI ჩემპიონატისთვის სამზადისს გასულ კვირას, დიდი ჯიხაიშის საწვრთნელ ბაზაზე შეუდგა.

სამტრედიელთა მთავარი მწვრთნელის, სოსო ფრუიძის განკარგულებაში 25 ფეხბურთელია, გუნდში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა.

ისე, უმნიშვნელო უძახე და ფრუიძეს ვისიც ეიმედებოდა, სწორედ ისინი არ არიან გუნდში.

ტყუპები — სოსო და ვასილ გიგიაძეები, როგორც იცით, „დინამოში“ გადაბარგდნენ და ჰოლანდიაში იმყოფებიან შეკრებაზე. „იბერიაში“ ჯერჯერობით არ ჩანს მეკარე გუბაზ დოლიძე, აგერ უკვე მეოთხე დღეა, რაც სამტრედიელები ძირითადი მეკარის გარეშე ვარჯიშობენ. მშობლიურ გუნდში დაბრუნდა საინტერტოტოოდ ფოთის „კოლხეთში“ წასული თავდამსხმელი დავით ხუჭუა, მაგრამ მას მტკიცედ გადაუწყვეტია, „იბერიაში“ არ დარჩეს.

წასულია მცველი გიგა ნიკოლეიშვილიც. იგი მურთაზ ხურცილავასთან ვარჯიშობს „ლოკომოტივში“. გუნდში არ იმყოფება ახალგაზრდა ფეხბურთელი სევასტი თოდუა, მისთვის თვალი თბილისურ „ვიტ ჯორჯიას“ დაუდგამს და თოდუასაც ძალიან სურს ვეტერინართა გუნდში გადასვლა, მაგრამ მის ოფიციალურ ვიტელობას მხოლოდ მოლაპარაკებაღა აკლია. გუნდების წარმომადგენლები ჯერ არც კი დამსხდარან მაგიდასთან, ყოველივე უახლოეს ხანში გადაწყდებაო.

ამდენმა ხალხმა თუ დატოვა „იბერია“, 25 ფეხბურთელი როგორღაა გუნდშიო, იკითხავს მავანი.

„იბერიაში“ მოწვეული ჯერჯერობით შარშან წყალტუბოს „სამგურალში“ მოთამაშე შოთა დარსაძე გახლავთ, დანარჩენები კი პირტიტველა ბიჭები არიან — სამტრედიის მეორე გუნდიდან, ქუთაისიდან და თბილისიდან.

ჯერჯერობით „იბერიის“ შესახებ ესაა, დანარჩენი შემდეგ იყოს. 17 ივლისს სამტრედიელები ინტენსიური ვარჯიშების შემდეგ ფოთის „კოლხეთს“ ამხანაგურად გაეჯიბრებიან. შეხვედრა სავარაუდოდ ან სამტრედიის „ეროსი მანჯგალაძეზე“, ან დიდი ჯიხაიშის ბაზაზე გაიმართება.

გიორგი ვაშაკიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპი ნორვეგიაში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ვარჯიშისას

ბოსკამპი სამში არ არის

ხდება-ხოლმე ზოგჯერ მწვრთნელის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე გვარიან გავლენას ახდენს პრესის კრიტიკა და პოზიცია.

და ნურავინ დაიჩემებს, რომ არსებობენ ისეთი მწვრთნელები, რომელთათვისაც სულ ერთია, რას წერს პრესა.

რაც ფეხბურთი არსებობს არსებობს საფეხბურთო ჟურნალისტიკაც და იგი, როგორც წესი, დიდ როლს თამაშობს სპორტის ამ სახეობაში მიმდინარე პროცესებზე.

ქართულ მასმედიას რომ საქართველოში მომუშავე მწვრთნელებზე დიდი ზეგავლენა აქვს, ეს მათი რეაქციიდანაც კარგად ჩანს — ზოგი ღიმილად და ინტერვიუდაა ქცეული, ზოგს მხოლოდ მისთვის სასურველ ჟურნალისტებთან აქვს ურთიერთობა, ზოგი (პრესაზე გაბუტული) პრესკონფერენციებზეღა იხარჯება საინფორმაციო საშუალებებისთვის, ზოგი კი ამაზეც უარს ამბობს.

ერთი სიტყვით, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო — ისეა საქმე.

ყველაზე უკეთესი კი ის სიტუაციაა, როცა მწვრთნელი რეალურად აფასებს ჯანსაღი კრიტიკის მნიშვნელობას და პრესაც, თავის მხრივ, საქმის ცოდნით და პროფესიულად და არა ჩასაფრებულის პოზიციიდან წერს ფეხბურთზე.

დღვანდელ წერილში ბოსკამპისა და ქართული მასმედიის ურთიერთობაზე გვსურს ვისაუბროთ.

ეს ურთიერთობა ცივილურია, თანამედროვე და ჩვენებური მენტალიტეტისთვის ცოტა უცხოც — პრესკონფერენციები და მხოლოდ პრესკონფერენციები, მწვრთნელი დასმულ კითხვებს კი პასუხობს, მაგრამ ამავე დროს ყოველგვარი ირონიის გარეშე ერთსაც უსვამს ხაზს — მწვრთნელი ვარ, ჩემი საქმე ვიცი და პრესის ყველა ნათქვამს თუ ავყევ-დავყევი, რაღა ბოსკამპი ვიქნები...

ანუ, გნებავთ — მაკრიტიკეთ, გნებავთ — არა, ძაღლმა იყეფოს და ქარავანმა იაროსო.

ვითომ ეგრეა? არა მგონია. არც ასე მარტივად უნდა იყოს საქმე.

პირადად მე ბოსკამპის ნათქვამმა მაშინ დამაეჭვა, როცა დიღმის ბაზაზე ერთ-ერთი პრესკონფერენციასა განაცხადა, ფოცხვერიას არ ვიცნობო.

ესე იგი ოჰან მრისხანე ისე გახდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, ვერ მოასწრო საქმეში ბოლომდე ჩახედვა, იმათ კი, ვისაც მისთვის ინფომაციის მიწოდება ევალებოდათ, არც ძალიან მოიქაჩლეს თავი.

ზუსტად ასევე ბოსკამპმა გაუშვა ნაკრებიდან ზაზა ჯანაშია და მორჩა... სანამ აქ ვიქნები, ეგ ნაკრებში ფეხს ვერ დადგამსო.

ვითომ მარტო პრინციპშია საქმე? აი მაგალითად, თავად ჯანაშია ფიქრობს, რომ მწვრთნელს მასზე არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. მონსტრად წარუდგინეს მისი თავი და გულიც ამიტომ აიყარა მწვრთნელმა.

თორემ უდისციპლინობები მას მერეც მოხდა გუნდში, მაგრამ ბოსკამპმა ყველას შანსი მისცა (თუნდაც გუჩუას „ველად გაჭრა" და მერე დაბრუნება ავიღოთ). აი, ჯანაშიაზე კი არავინ არაფერს ამბობს

არადა, ბოსკამპის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, იგი კიდევ დიდხანს შეიძლება დარჩეს ეროვნული ნაკრების სათავეში, გარშემომყოფთაგანაც არავინ ეცდება, შეაცვლელვინოს გადაწყვეტილება და ჯანაშია უნაკრებოდ, ნაკრები კი უჯანაშიოდ დაგვრჩება.

ეს არ არის ტრაგედია, მაგრამ ამ ეტაპზე დიდი ფუფუნება კია.

ჰოდა, წერილიც იმიტომ იწერება, ეგებ ბოსკამპის ყურამდე მივიდეს და მანაც გადაწყვეტილება შეცვალოს. სასჯელი ჯანაშიასაც ეყო და ნაკრებსაც, რომელმაც სწორედ თავდამსხმელების უკმარისობის გამო დაკარგა ბოლო სამი ქულა საბერძნეთთან...

როდესაც ფეხბუთელი ამბობს, რომ დასკვნების გამოტანა უჭირს, ბოლომდე ვერ გაიგო, რატომ მოკვეთეს ნაკრებიდან, მწვრთნელმა თუ არა, მისმა თანაშემწემ მაინც კეთილი უნდა ინებოს და დააკმაყოფილოს მისი ცნობისმოყვარეობა.

არადა, ჯანაშია ამბობს, ბოდიში მოვიხადე, მეგონა, შანსს მომცემდნენო...

ნაკრების ხელმძღვანელობა კი — ეგ ჩვენამდე არ მოსულა და რომც მოსულიყო, აზრი არ ექნებოდაო.

საფუძველში მწვრთნელი მართალია, მას თავისი წეს-კანონები აქვს, თავისი ჩარჩოები, ვიღაცამ ერთხელ დაურღვია, მეორედ და მანაც ვერ მოითმინა...

მოითმინა კი აბა, იოჰან-მრისხანემ დიღმის ბაზაზე ისეთი იფეთქა, ჯანაშია-ბოსკამპის კონფლიქტების შემყურე სხვა ფეხბურთელებმაც ლამის მიწა გაითხარეს.

მაგრამ ასეც არ შეიძლება — ფეხბურთელს შანსი უნდა მისცე, განა მარტო ზაზა ჯანაშიას, ფოცხვერიას, გახოკიძეს, არჩილ არველაძეს, სხვებსაც, იმათაც ვინც შეიძლება ნაკრების ძირითადში ვერ მოხვდეს, მაგრამ ჯანსაღი კონკურენციისთვის კი გამოდგებიან.

ამიტომ დისციპლინაცაა და დისციპლინაც, გადაწყვეტილებაცაა და გადაწყვეტილებაც. გაიგებდა ამგვარ რამეს ცნობილი მწვრთნელი-ჟურნალისტი ჟოაო სალდანია, გადახედავდა გარინჩას, დიდის, სხვა „დიდ ბავშვებს" და იტყოდა — ეს არ არის რიო დე ჟანეირო. თუმცა რაღა ბრაზილია და სალდანია, ანდრო ჟორდანია გავიხსენოთ — არყის ბოთლებიან სუფრაზე სერგო კოტრიკაძე რომ მიიწვია და უთხრა — აქ ჯდომა თუ ვერ ისწავლე, ვერც კარში დგომას ისწავლიო.

მაგრამ ის დრო სხვა იყო, ეს სხვაა. ახლა დატვირთვებიც დიდია და დონეც...

თუმცა ეს არ უშლის ალექს ფერგიუსონს, მარტო მინდორზე თამაშით განსაზღვროს „მანიუს" მოთამაშეთა გუნდში ყოფნა-არყოფნის საკითხი.

პროფესიონალიზმის განსაზღვრის კრიტერიუმიც ეს უნდა იყოს — მოედანზე სასარგებლოდ გარჯა, თორემ მოედნის გარეთ ზოგი ლუდს სვამს, ზოგი ღვინოს, ზოგიც „ვიაგრას" — ვისი რა საქმეა.

და თუ უსაშველოა, მწვრთნელი იბარებს ფეხბურთელს, უხსნის რას მოითხოვს და როგორ, პასუხსაც ამის მერე აგებინებს. ერთი სიტყვით, მწვრთნელი-მოთამაშის დამოკიდებულება თანამშრომლობის პრინციპზეა აგებული და არა დიქტატურაზე.

მივესალმებით სიმკაცრეს და არა დიქტატურას. არ ვერევით ბოსკამპის საქმეში, მაგრამ ერთს კი ვითხოვთ მისგან — ფეხბურთელს შანსი უნდა მისცეს.

ისევე როგორც გუჩუას მიეცა „დინამოში" შანსი.

სხვანაირად არაფერი გამოვა. ბოსკამპმა ხომ თავიდანვე თქვა — ერთი ხელის დაკვრით ვერაფერს შევცვლიო. დროთა განმავლობაში კი ჩვენი ფეხბურთიც შეიცვლება, ფეხბურთისადმი მიდგომაც და საფეხბურთო აზროვნებაც.

იმ სამში კი — ფერგიუსონი, ჟორდანია და სალდანია გვიგულისხმია — ბოსკამპი ვერასოდეს მიხვდება, ისინი „დემოკრატები" იყვნენ, ბოსკამპი და მისთანები კი ფეხბურთელებისგან გადახრებს ვერასოდეს აიტანენ. ისინი ნებისმიერ უდისციპლინობაზე რეაგირებას გააკეთებენ და შესაბამისად დასჯიან ფეხბურთელს.

მაგრამ მეორეცაა — ფეხბურთელს (რაც არ უნდა დამნაშავე იყოს) შანსი უნდა მისცეს მწვრთნელმა.

სხვანაირად არაფერი გამოვა.

კონსტანტინე გოგიშვილი

აზია გაბრაზებულა

მინი-ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაისად კვატემალაში ჩატარდება. ფინალურ ეტაპზე, როგორც წესი, შესარჩევი ჯგუფების გამარჯვებულნი ითამაშებენ. წესი წესად, მაგრამ ჯგუფების დაკომპლექტებას, ეტყობა, კარგა ხანს არ დაადგება საშველი. არადა, საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციამ შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის შეხვედრების მასპინძლობაზე სურვილი გამოთქვა და ამის შესახებ ოფიციალურად აცნობა მსოფლიოს ფედერაციას.

5 ივლისს ლოს ანჯელესში შესარჩევი ციკლის კენჭისყრა იყო დაგეგმილი. სხდომა კი ჩატარდა, მაგრამ წილისყრის მაგვარი არაფერი მომხდარა. მიზეზი? აზიის წარმომადგენლებს დამატებითი ადგილი მოუთხოვიათ. დარბაზის ფეხბურთის მამებს პირდაპირი უარი არ მიუხლიათ და აზიელებისთვის შეუთავაზებიათ — ევროპაში ფინალური საგზურისთვის ბრძოლაში ხელმოცარულ ქვეყნასთან გაგაჯიბრებთ და გამარჯვების შემთხვევაში გვატემალაში ერთით მეტ გუნდს იახლებთო. გადარეულან ყვითელი კონტინენტის წარმომადგენლები, ეს წინადადება დამამცირებლად ჩაუთვლიათ და სხდომა დემონსტრაციულად დაუტოვებიათ. ამაყი და ამბიციური აზიელების ამ საქციელმა კენჭისყრა გაურკვეველი ვადით გადადო.

ხვიჩა სანიკიძე

ყიფიანის მინი-დებიუტი

საქართველო 8:4 სომხეთი

1:0, 2:0 ძაბირაძე (4,5), 3:0 დევდარიანი (10), 4:0 თორთლაძე (15), 4:1 აირ ბაბამიანი (17), 5:1 ტყავაძე (25), 6:1 სოლოღაშვილი (27), 7:1 სოფოევი (33პ), 7:2 ედიგარიანი (34), 7:3 სარქისიანი (36), 8:3 ალექსიძე (37), 8:4 კაზარიანი (38)

საქართველო: ზაკაიძე, ალექსიძე, ძაბირაძე, ზამბახიძე, თორთლაძე, სოფოევი, დევდარიანი, ტყავაძე, სოლოღაშვილი, რუსაძე, სულაძე

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, ო. გუნთაძე

კომისარი: ნ. ამირეჯიბი

გუშინ სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. მიზეზი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გახლდათ — საქართველოს მინიფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა 20 დღით ადრე შეკრებილ სომხეთის ნაკრებს უმასპინძლა.

ბუნებრივია, ქართველებს და სომხებს სხვადასხვა მიზნები ამოძრავებთ. შეხვედრის დასრულებისას სომეხთა გუნდის თავკაცმა ნურიკ ტიგრანიანმა თქვა, ჩვენი მინიფეხბურთელთა ნაკრები პირველ ნაბიჯებს დგამს და ამდენად ერთგვარად სასიამოვნოც კი იყო ქართველებთან მატჩი. ბიჭები უეჭველად დიდ გამოცდილებას შეიძენენ.

ჩვენს მინი-ფეხბურთში კი სიახლეა. ორი კვირაა, რაც ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა კომიტეტის უფროსი ლევან ყიფიანი ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. მან ამ პოსტზე ირაკლი ქავთარაძე შეცვალა. ბუნებრივია, ერთი თამაშით ძნელია ახალგაზრდა ლევან ყიფიანის სამწვრთნელო ავ-კარგზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, ახალგაზრდა მწვრთნელმა მშვენიერი დებიუტი მოიწყო და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა.

ამხანაგური საკონტროლო თამაშები იმისთვის არსებობს, რომ შემდეგ მოახლოებულ ოფიციალურ ტურნირს რაც შეიძლება მაღალ დონეზე მომზადებული და შეთამაშებული შეხვდე. ჰოდა, ჩვენებურნიც სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ემზადებიან, რომელიც გვატემალაში ჩატარდება. შეძლებისდაგვარად კი სპარინგ-მატჩებსაც არ იკლებენ.

სომხეთთან მატჩამდე საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრები თებერვლის შემდეგ პირველად შეიკრიბა, მოგეხსენებათ, სწორედ ამ თვეში ისინი სპორტის სასახლეში ირანელებს ორჯერ გაეჯიბრნენ და ორჯერვე დაამარცხეს.

გუნდი საქართველოს ჩემპიონის, ბაღდათის „ბაასის" ბაზაზეა დაკომპლექტებული, მაგრამ არც ლეგიონერები აკლია. ეგაა, გუშინ ნაკრების შემადგენლობაში, „ქარიშხალაში" მოსულმა ქომაგმა ისინი ვერ იხილა. მოსკოვის „სპარტაკის" (ადრე „მინკასი" ერქვა) ქართული ტრიო — ნაკრების კაპიტანი ზოიძე, მიზანდარი და კბილაძე, უკრაინის ჩემპიონი ალიკ სარქისიანი გარკვეული მიზეზების გამო გუნდს აკლდნენ. სამაგიეროდ, ნაკრებში იყვნენ ქართული მინი-ფეხბურთის ოსტატებად აღიარებულნი — ბუბა ტყავაძე და დათო სოლოღაშვილი. მათ კარგად აუბა მხარი კოკა რუსაძემაც და სომეხთა კარიც დაიბომბა, თუმცა ზაკაიძის კარს ახალბედა სომხებმაც არანაკლები ხიფათი შეუქმნეს. შედეგი — ოთხი გაშვებული გოლი და სუსტად მოთამაშე ქართველთა დაცვა. ერთი ნაღდია, 20 დღის შეკრებილი გუნდისგან ოთხი გაშვებული ბურთი მეტისმეტია.

დაცვაში ვერ გვქონდა საქმე კარგად, სამაგიეროდ, შეტევაში... მიუხედავად იმისა, რომ სომეხთა მეკარემ 8 ბურთი გაუშვა, ბარე ამდენჯერ ხიფათი განმუხტა და საიმედოდაც თამაშობდა.

ქართველთა ტექნიკაზე არას ვამბობ, ეს ხომ სისხლში გვაქვს გამჯდარი. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ტყავაძე და სოლოღაშვილი რა დღეს აყრიდნენ გუშინ ჩვენს მეზობლებს.

დღეს კი გუნდები ხელმეორედ გაეჯიბრებიან ერთმანეთს. შეხვედრა 13 საათზე ისევ „ქარიშხალაში" შედგება.

გიორგი ვაშაძიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

სომხებამდე ქართველ მინი-ფეხბურთელებს ირანელები სტუმრობდნენ

ყიფილო ბოლნისიდან

გასაოცარია, აბა, რა, 38 წლის ყიფშიძე, ახლობლებისთვის ყიფილო, ფეხბურთს თამაშობს, თანაც „სიონის“ დაცვა უმისოდ წარმოუდგენელია. ის მუდამ ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში და ბოლნისელები ჯერაც პირველ ჯგუფში რომ არსებობენ, სხვებთან ერთად, პირველ რიგში, ყიფილოს დამსახურებაა. ისე, მერაბ მეგრელაძის შემყურეთ თითქოს აღარაფერი გაგვაკვირვებს, მაგრამ პაპა მერაბი ლეგიონერი გახლავთ და გოლებიც შორეულ ციმბირში გააქვს, სადაც, მართალია, ცოტა სიცივე კია, მაგრამ ფეხბურთელებს, ჩვენებურთაგან განსხვავებით, არ შიათ და არც თბილი შხაპი ენატრებათ. ხელფას-პრემიებზე კი არაფერს ვამბობ.

— ყიფილო, არა გრცხვენია, კიდევ თამაშობ? — ანამუსებენ მეგობრები ვეტერანს.

— არიქა, მაგან წასვლა არ გაიფიქროს, თორემ დავიღუპებით. ვერ ხედავთ უმისოდ ჩვენი დაცვა გარღვეულ ღობეს რომ ემსგავსება?! — შფოთავენ გუნდის ხელმძღვანელები.

საშუალოზე დაბალი, გამხდარი, მაგრამ მოძრავი ლიბერო კვლავაც ახალგაზრულად გამოიყურება. გამოცდილებას თავისი წილი სიკეთე მოაქვს, ყიფშიძეც წინასწარ გრძნობს შეტევის მიმართულებას, თავდამსხმელს საჭირო მომენტში, სასურველ ადგილზე დაუხვდება და... ხშირად გამოდის ორთაბრძოლაში გამარჯვებული, თუმცა წლების სიმძიმესაც კვალი დაუტყვია ფეხბურთელისთვის, სისწრაფე სადღაც გამქრალა, ვერ იმორჩილებს მომხვდურ ახალგაზრდებს და თავის თავზე ბრაზდება...

— ამქვეყნად სიმართლე დაკარგულია, თორემ რა ჯანდაბას ვაკეთებ მინდორზე, სხვა თუ არაფერი, ვიღაცის ადგილს ვიკავებ, ახალგაზრდას ხელს ვუშლი. არა, უნდა წავიდე.

უკვე მესამე წელია, რაც ყიფილო სეზონის დაწყებამდე ამ სიტყვებს გაიძახის. ცოტა ხანში გაიხედავ და გიორგი ისევ „სიონის“ განაცხადში წერია. ყიფილო ისევ თამაშობს? ვინ იცის, მერამდენედ გაიკვირვებენ მწვრთნელები მსაჯები, მაყურებლები.



გიორგი ყიფშიძე

ფოტო ალექსანდრეს

გადაწყვეტს ყიფილო წასვლას, რამდენიმე მატჩს ტრიბუნიდან ნახავს, ფეხბურთიდან გასაცილებელ დღესა და რიცხვსაც შეურჩევენ, მაგრამ ტურიდან ტურამდე „სიონის“ დაცვაში არეულობები მატულობს და კლუბის თავკაცებიც ყიფილოს მოადგებიან — წლეულსაც გადაგვარჩინეო. ყიფშიძეც ყოველ წელიწადს თავიდან იწყებს.

— ჩემი წილი ვედის სიმღერა ფეხბურთში უკვე ვთქვი, ამიერიდან დასვენებაც კარგია, მხოლოდ აქტიური. „სიონი“ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ასე იოლად ვერ დავთმობ, ამიტომ მწვრთნელებში გადავინაცვლებ, ახალგაზრდობისთვის სათქმელი მეც დამგროვებია. ეს სიტყვები ყიფილომ მეათე ეროვნულის მეორე წრის დაწყებამდე წარმოთქვა.

გიორგი ყიფშიძე და ჯონი ჯაგიდისი ფეხბურთიდან ერთად უნდა გაეცილებინათ. ჯონი პატივისცემით, დიდი სიყვარულით გააცილეს, ყიფილო კი...

ბოლნისი ვერაფრით შეელეოდა ორი ვეტერანის ერთდროულად წასვლას. ყიფილო ისევ დარჩა, მერამდენედ.

უკვე თავადაც არ ახსოვს, რამდენ მწვრთნელთან უმუშავია, რამდენი სიხარული განუცდია, ფეხბურთს რამდენჯერ აუტირებია. „სიონში“ მუდამ თამაშობდნენ სხვა ქალაქებიდან მოწვეული ფეხბურთელები, ბევრი მეგობარი შეუძენია ყიფილოსაც, თუმცა ყველას ერთად ჩამოთვლა, ერთბაშად გახსენებაც გაუჭირდება.

ბოლოს ყიფშიძე გორში ვნახე — „სიონი“ თსუ-ს ეთამაშებოდა. პირველ ჯგუფში დამრჩენის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. მობერებული ჩანდა, ზანტად მოძრაობდა. გასახდელიდან მძიმედ გამოვიდა, ნელ-ნელა მიუახლოვდა მინდვრის კიდეს, თითქოს ამოიოხრაო და... მოედანზე შეაბიჯა. უმალ გარდაიქმნა კაცი, ეტყობოდა, ძალა მოემატა, გახალისდა, ძველ ყიფილოდ წარუდგა გულშემატკივარს.

ვერაფერი მოუხერხეს ახალგაზრდა სტუდენტებმა, შეუვალი იყო ბებერი და მრავლისმნახველი ვეტერანი. „სიონის“ პირველი გოლიც ყველაზე მეტად გაუხარდა, თუმცა თავისთვის მოდუნების უფლება არ მიუცია, მეორე გოლის შემდეგ კი ვალმოხდილი კაცის იერი დაედო.

მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე მოეშვა, ისევ დამძიმდა. მოედნიდან ნელ-ნელა, ლამის ყველაზე ბოლოს გავიდა, ერთიც ამოიოხრა, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა. ვერ გაიგებდი, სიხარულის, თუ სინანულის. ალბათ, ორივე ერთად. სიხარული გამარჯვებისა იყო, სინანული კი, რა დიდი მიხვედრა უნდა, ყიფილო ხომ ოცი წლის ბიჭი არ იყო...

„სიონისთვის“ უერთგულია ბოლომდე. უხელფასობაც და უჭმელ-უსმელად ბურთაობაც თანაბრად გაუნაწილებია ახალგაზრდა თანაგუნდელებთან ერთად, არასდროს უთქვამს პრივილეგიებით მასარგებლეთო. გასახდელიდან მუდამ პირველი გამოდიოდა, ზურგზეც ტრადიციული ოთხი ნომერი ეწერა...

ერთ თვეში საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. „სიონი“ ისევ პირველ ჯგუფში თამაშობს, ია თქმა უნდა, ბატონ! ... ოქმიც ტრადიციულად შეივსება და „სიონის“ ბრალეულ მერიხე მოიტანენ, ბევრი თვალი ნაცნობი ვგარ სახელო ... იწერება — გიორგი ყიფშიძე.

— ყიფილო კიდევ თამაშობს? — ჯერ გაუკვირდებათ და დარწმუნებული ვარ, გაუხარდებათ კიდეც მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელებს.

გაუხარდებათ არა იმიტომ, რომ მათ თავდამსხმელებს ორმოცს მიტანებული კაცი უნდა დაუხვდეს, არამედ გაუხარდებათ იმიტომ, რომ ვეტერანი მუდამ მზადაა, საკუთარ გუნდს დაეხმაროს. მწვრთნელებზე უკეთ არავინ უწყის, რომ ბებერი ხარის რქებიც ხნავენ. ყიფშიძისნაირ ერთგულ მოთამაშეებსაც ხშირად ნატრულობენ მწვრთნელები.

...და ის ისევ პირველი გამოვა გასახდელიდან, დარცხვენილი, თავდახრილი. გზადაგზა ერთხელაც წაიბუტბუტებს — სირცხვილია, ხალხო, რა დროს ჩემი ფეხბურთიაო, მაგრამ მინდვრის კიდესთან მისულს ყველაფერი დაავიწყდება. ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი. გრძელი მარათონული სეზონი, მოგება და წაგება, უხელფასობა თუ გადათამაშება.

„სიონს“ არ ეღალატება. სწორედ ეს აძლევს ძალას და უდიდეს სტიმულს. ამიტომ ბურთაობს ეს დროული კაცი.

...და რატომ არ უნდა ითამაშოს ყიფილომ? მე თუ მკითხავთ, უნდა ითამაშოს, სანამ ჯანი და სურვილი ექნება. ყიფილოს უსაქციელობა არავის ახსოვს და უნახავს, არ ეწევა, არ ლოთაობს, წონა არ აწუხებს და წუწუნი არ სჩვევია. კარგის მეტი რა უნდა ისწავლოს ახალგაზრდამ მისგან. ჰოდა, ითამაშოს, სანამ „სიონი“ ღირსეულ ლიბეროს მოძებნის, მანამდე ყიფილოც გუნდის სრულუფლებიანი წევრი, შეუცვლელი კაპიტანი იქნება. მერე კი, მისი თქმისა არ იყოს, მწვრთნელობაში სცდის ბედს.

მამუკა კვანტალიანი

საზაფხულო მიდი-მოდი

«ა» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
დინამო *ითან ბოსკამი*	ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(კრილია სოვეტოვი, რუსეთი),სოლოლაშვილი(დილა),კვარაცხელია(თბილისი),მ.მაჭავარიანი,შ.ჩომახიძე (?)	ს.გიგაძე,ვ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(დინამო),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ხომერიკი(ბათუმი),ზ. ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(თსუ),ლომაია(მერანი),დეევაძე(ირონი,აშდოდი,ისრაელი)	ერევანი (სომხეთი)0:0, ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდემი (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3
ლოკომოტივი *მურთაზ ხურცილავა*	ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვეთი), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი),მარლიშვილი,ხორგუაშვილი(დილა),შ. ხუჯაძე(ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია),გოგობერიშვილი(ანტი, რუსეთი),დოლაბერიძე,დაუშვილი, ქოიავა,გ. ღუდუშაური,ვ. კილასონია(?)	ტრაპაიძე,კალანდაძე,მ. ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),დავითნიძე(მერანი), ასლანაძე,გლუნჩაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),ბარამიძე,გოლეთიანი (ღარწყალი),ოდიშარია(ცხუმი)	დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5
ბათუმი *ჯანი კარნეველე*	თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი(თბილისი), მაქაცარია,ყულეჯიშვილი(?)	ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი.ბახტაძე (კოლეჯი)	კოლხეთი 4:1
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	ვ.მაისურაძე(ტორპედო),ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირჯიშვილი(თსუ), ქემოკლიძე(თბილისი)	კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(დილა),გ. მეტრეველი(აკადემია),თოდუა(იბერია)	დილა 2:1
არსენალი *დავით ჩახავა*	ჩლაიძე(თბილისი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი)	გონჩაროვი(თსუ),კუპატაძე,ვ. გაგუა,კვირკველია,კოხრეიძე(არსენალი-2)	არსენალი-2 4:2
სამგურალი *რევაზ ბურკაძე*	აფციაური(ერევანი,სომხეთი),ბურნაძე(ვანსფორი,თურქეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანაძე,გლუნჩაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ. შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი),დარსაძე(იბერია),გ.კილასონია(?)	იობიძე(გურია),ბრეგვაძე,ფაიქიძე(სულორი),ჭყონია(?)	
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ისიანი(თბილისი),ლ.გაგუა,გუგუნავა,ძნელაძე,კ.გოდერძიშვილი,დ.ბერიძე,ტყავაძე,ჩალაძე(?)		
თბილისი *ოთარ კორღალიძე*	ზ. ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(დინამო)	კვარაცხელია(დინამო),ხუციშვილი,ბაჯელიძე(მერანი),ლ. მიქაძე(დინამო),ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია),ნიკურაძე,რ. ჩხაიძე(გურია), ზამთარაძე,ებრალიძე(თსუ), ისიანი(სიონი),ჩლაიძე(არსენალი),ვერემჩუკი(ბათუმი)	ლოკომოტივი 1:2, 5:1

«ბ» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	კ. მეტრეველი,მ.ზანინიშვილი(?)	ვ.მაისურაძე(ვიტ ჯორჯია),შ. ხუჯაძე(ლოკომოტივი),მახვილაძე(სამგურალი), გოგიაშვილი(ფემჩუკინა,რუსეთი)	დინამო 1:3, დილა 5:1
კოლხეთი *გია ტყემუჩავა*	მ.ქობულაძე,კალანდაძე,ტრაპაიძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი),ამაშუკელი,ჩადუნელი(?)	მერკვილიშვილი(მარგვეთი),შ. ჩხენკელი,ქუნთელია,ჯღამაძე(ტრავმის გამო არ თამაშობდნენ),რ. ჩხენკელი,ბურჭულაძე,გ. ქანტარია(კოლხეთი 2),ჯღარკავა (ფაზისი)	ცემენტარნიცა(მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4
მერანი *სერგო გაბელაია*	ლომაია(დინამო),გელა ქორიძე(ბათუმი),ხუციშვილი,ბაჯელიძე(თბილისი),დავითნიძე(ლოკომოტივი),გ. კვეტენაძე(?)		
იბერია *სოსო ფრუიძე*	ს.გიგიაძე,ვ. გიგიაძე(დინამო),თოდუა(ვიტ ჯორჯია),გ. დოლიძე(?)	დარსაძე(სამგურალი)	
დილა *მერაბ ხუციშვილი*	ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),მდივანი(?)	სოლოლაშვილი(დინამო),მარლიშვილი,ხორგუაშილი(ლოკომოტივი)	ვიტ ჯორჯია 1:2, ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5
გორდა *იასონ ალადაშვილი*	რ. მახარაძე(მერცხალი),სიდამონიძე,ვ.მაჭავარიანი,კალმახელიძე,პ.მესხი(?)	ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია)	ხალიბი 5:2
თსუ *კოტე დოლიძე*	თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი),გონჩაროვი(არსენალი),ჭუმბურიძე(?)	ახალაძე(სამგურალი),ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირჯიშვილი(ვიტ ჯორჯია),შ. მახარაძე(გურია)	
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*	ონიანი(ნისტრუ,ოტაჩი,მოლდოვა),ლ.გვაზავა(?)		

გენერლის სიტყვამ არსენალი შეავსო



ბურაგ დოლენგაბაშვილის ფოტო

დავით ჩახავა

ასეა, ფეხბურთელს მინიმალური პირობა მაინც თუ არ შეუქმნი, გუნდიდან გაგექცევა. რაღა შორს წავიდეთ, თბილისის „არსენალი“ ავიღოთ. არმიელებმა მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ისე ჩაატარეს, რაც ხელფასის სიტკბო უგემიათ და არც პრემიის. მიუხედავად ამისა, გუნდმა იოლად გაინაღდა ლიგაში დარჩენა და ჩემპიონატიც ვაუკაცურად, მე-9 ადგილზე დასრულა. დამთავრდა ჩემპიონატი და „არსენალი“ თავისი ფარმ-კლუბის იმედად დარჩა. თემურ ჩლაიძე, ლაშა ყოლბაია, დავით ტარიელაშვილი, მუხრან მაისურაძე, ვახტანგ გველესიანი და ზაზა ზირაქიშვილი გუნდიდან წავიდნენ. დარჩენებმაც მომავალ სეზონში „არსენალში“ თამაშზე უარი განაცხადეს და ხანმოკლე არდადეგების შემდეგ ინდივიდუალურად დაიწყეს ვარჯიში. არმიული კლუბი ფაქტობრივად ფეხბურთელებისგან დაიცალა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დროებით. „არსენალის“ ხელმძღვანელობა მოთამაშეთა საქციელმა გვარიანად შეაფუცხუნა და... რამდენიმე დღეა, გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით და ხალისიანად ვარჯიშობს. მიზეზი? გენერლებმა ცოტა ხნის წინ ფეხბურთელებისთვის მიცემული სიტყვა არ გატეხეს და ხელფასები დაურიგეს, მათაც კლუბისკენ იბრუნეს პირი. შარშანდელი შემადგენლობიდან სულ ორი კაცი არ ემზადება ამჟამად გუნდთან ერთად. თემურ ჩლაიძეს „არსენალთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა და მეკარემაც აქ დარჩენას „თბილისში“ გადასვლა არჩია. მანამდე ჩლაიძე ყოლბაიასთან ერთად აზერბაიჯანულ „ყარაბახში“ აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ამ ვარიანტზე ქართველებმა ბოლო წამს უარი თქვეს. ვახტანგ გველესიანი კი „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს მურთაზ ხურცილავას მეთვალყურეობით, თუმცა კიდევ ერთი წელი არმიელების საკუთრებაა, რომლებსაც ვერ გადაუწყვეტიათ, შეელიონ თუ არა მცველს. „არსენალის“ მწვრთნელებს ყველაზე მეტად გუნდის ლიდერის ზაზა ზირაქიშვილის ბედი ანაღვლებდათ. იგი ბოლო დროს ქუთაისის „ტორპედოში“ იმყოფებოდა. დავით ყიფიანს ძალიანაც სურდა მისი გატორპედოლება, მაგრამ არმიელებმა მთელი თავიანთი არსენალი გამოიყენეს და ზაზა თბილისურ კლუბში კიდევ ერთი წლით დარჩენაზე დაიყოლიეს.

რაც შეეხებათ ახალწვეულებს, იგი ფაქტობრივად ერთია — ყოფილი თსუელი ბორის გოწაროვი. ხოლო კუპატაძე, გაგუა, კვირკველია და კოხრეიძე გასულ სეზონში „არსენალი 2“-ის განაცხადში იყვნენ, თუმცა რამდენიმე მატჩი ძირითად გუნდშიც ჩაატარეს. წლეულს კი თავიდანვე „არსენალის“ განაცხადში იქნებიან.

ერთი ცვლილება მწვრთნელთა შტაბშიც მოხდა. გუნდის თავკაც დავით ჩახავას ამიერიდან მამუკა გეგეჭკორი დაეხმარება, რომელმაც ამ თანამდებობაზე მამუკა აბუსერიძე შეცვალა. აბუსერიძემ თავის ნებით დატოვა კლუბი და „თბილისში“ გადავიდა ოთარ კორღალიძის თანაშემწედ. შეგახსენებთ, გეგეჭკორი მეათე ჩემპიონატის დასაწყისში კორღალიძეს „არსენალის“ გაწვრთნაში ეხმარებოდა, ხოლო პირველი წრის შუაგულში, როცა კორღალიძე გუნდიდან წავიდა, მთავარ მწვრთნელადაც დანიშნა. ჩემპიონატის დასასრულს კი არმიელთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გეგეჭკორი ჩახავათი შეიცვალა.

არმიელები მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას ოფიციალურად 18 ივნისს კი შეუდგნენ, მაგრამ ძირითადი ბირთვი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ რამდენიმე დღეა, რაც ერთად ვარჯიშობს. ამ ხარვეზს გარკვეულწილად ის შეკრება შეავსებს, რომელსაც „არსენალი“ 17 ივლისიდან თურქეთში, ქალაქ ტრაბზონში მოაწყობს. იგი დაახლოებით 15-20 დღეს გასტანს. თურქეთში, ცხადია, საწვრთნელ-საკონტროლო მატჩების გამართვაცაა დაგეგმილი, თუმცა მეტოქეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

ბურაგ დოლენგაბაშვილის ფოტო

აკაკი კაკაშვილი (ბურთით) და მუხრან მაისურაძე

პირველი საკონტროლო თამაში (ძირითადი ფეხბურთელების მონაწილეობით) „არსენალმა“ გუშინ გამართა — თავისივე ფარმ-კლუბს 4:2 სძლია. ამ მატჩში არ უთამაშია ზირაქიშვილს, რომელსაც ორიოდე დღის წინ ქალიშვილი შეეძინა.

ბურაგ დოლენგაბაშვილის ფოტო

არსენალელთა ჰათხა-იოგა

— მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობა ერთად ახლახან შეიკრიბა, ფეხბურთელები ნორმალურად გამოიყურებიან. თუმცა ფიზიკური გამძლეობის მოსამატებლად ჯერაც ბევრია სამუშაო. უამისოდ ძალიან გაგვიჭირდებაო — გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა დავით ჩახავამ, რომელიც ამ ნაკლის გამოსწორებას სწორედ თურქულ შეკრებაზე აპირებს.

წლეულს „არსენალის“ მთავარი მიზანი პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ასეთი მოკრძალებული ამოცანის დასახვა ძირითადად „ა“ ზონაში მოხვედრამ განაპირობა, სადაც პირველი ოთხეულისთვის ბრძოლის მთავარ კანდიდატებად „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“, „ბათუმი“ და „თბილისი“ ითვლებიან. თუმცა, „არსენალიც“ არ იქნება მთლად უიმედოდ. ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ ფინანსებზეა დამოკიდებული. ხელფას-პრემია თუ იქნა, მაშინ ფეხბურთელებიც ბოლომდე იბრძოლებენ.

ასე რომ, ცოტა ხნის წინ დაშლის პირას მისული „არსენალი“ ახალ სეზონს, რომელიც 14 აგვისტოს იწყება, ფულიანი და იმედიანი ხვდება. რა განწყობით დაამთავრებს ჩემპიონატს, ეს გაზაფხულზე გამოჩნდება.

ვანო ოძროპირიძე

ბურაგ დოლენგაბაშვილის ფოტო

„არსენალის“ მწვრთნელი დავით ჩახავა ორმხრივი თამაშის წინ შეგირდებს არიგებს

არიან ასეთი კლუბებიც

იმ დროს, როცა ევროპის საფეხბურთო სამყაროში შესვენებაა, გულშემატკივრები ტრანსფერებით ირთობენ თავს, რაც მთელს მსოფლიოში საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს.

ფეხბურთის გულშემატკივრების უმეტესობას აინტერესებს ისეთი კლუბების ახალი შენაძენები, როგორებიცაა „მილანი", „ინტერი", „იუვენტუსი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი", „რეალი", „ბარსელონა" და სხვა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ღარიბნიც, სადაც ტალანტები იბადებიან. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ბავშვები, ბირჰოფები, ვიერები მილან-ბარსასნაირ კლუბებში არ გაზრდილან, როგორც პროფესიონალები.

ამჯერად თქვენს ყურადღებას ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთი ქალაქის კლუბზე შევაჩერებთ. ეს ქალაქი უდინეა, ხოლო გუნდი ბოლო წლებში უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობი „უდინეზე".

ბევრი იტყვის, „უდინეზე" რომელი სუსტი გუნდიაო და მართალიც იქნება, რადგან სერია A-ში სუსტები არ ასპარეზობენ, მაგრამ ნათქვამია, ყველაფერი შედარებითიაო. ამ პრინციპიდან გამომდინარე კი უდინური კლუბი, იგივე მილან-ბარსასნაირებს აშკარად ჩამორჩება.

კი, ყოფილა შემთხვევები, როცა „უდინეზეს" დაუმარცხებია ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მაგრამ თუ ორ უკანასკნელ სეზონს არ ჩავთვლით, ეს ხომ საკმაოდ იშვიათად ხდებოდა.

რა შეიცვალა ბოლო ორ სეზონში ამ ჩრდილოიტალიური ქალაქის გუნდში?

რა შეიცვალა და კლუბში „ვიჩენცას" ყოფილი თავკაცი ალბერტო ძაკერონი მოვიდა, „უდინეზეს" ბოლოდროინდელი წარმატებების სულისჩამდგმელი. 1998 წელს მან გუნდი სერია A-ში მესამე ადგილზე და უეფას თასზე გაიყვანა.

სამი წლის წინ რომ ეკითხათ თქვენთვის, ვინ არის ოლივერ ბირჰოფი, რას უპასუხებდით? ან საერთოდ ვერაფერს, ანაც, უკეთეს შემთხვევაში, ერთი არაფრით გამორჩეული ფეხბურთელიაო. ძაკერონიმ კი ეს ერთი არაფრით გამორჩეული გერმანელი ფეხბურთელი, თუნდაც „თავბურთელი", შარშან სერია A-ს ბომბარდირი გახადა. ხდება ხოლმე...

დასრულდა 1997-98 სეზონი, რომელიც „უდინეზესთვის" კლუბის ისტორიაში საუკეთესო იყო. ალბერტო ძაკერონიმ დატოვა უდინური გუნდი, ის მსოფლიოს გრანდს — „მილანს" ჩაუდგა სათავეში. ოლივერ ბირჰოფი და თომას ჰელვეგიც თან წაიყვანა.

ამის შემდეგ გულშემატკივართ ეგონათ, აი, დამთავრდა ერთი კლუბის წარმატებული ხანაო, მაგრამ ასე არ მოხდა. გუნდის თავკაცად ფრანჩესკო გუიდოლინი დაინიშნა.

მართალია, გუიდოლინიმ ძაკერონისეული წარმატება ვეღარ გაიმეორა, გუნდი მეშვიდე ადგილზე გავიდა, მაგრამ უეფას საგზური მაინც მოიპოვა. გახსოვთ ალბათ, „უდინეზემ" უეფას საგზურისთვის ორრაუნდიან ბრძოლაში „იუვენტუსი" დაამარცხა, რის შედეგადაც სახელოვან ტურინელებს ინტერტოტოს თასზე მოუწევთ ასპარეზობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო სეზონის სერია A-ს ბომბარდირი 1997-98 წლების მსგავსად ისევ უდინეზელი, ოღონდ ამჯერად ბრაზილიელი მარსიო ამოროზო გახდა 22 გატანილი გოლით.

გასული სეზონის შემდეგ „უდინეზეში" კვლავ დიდი ცვლილებები მოხდა. კლუბი დატოვა მარსიო ამოროზომ და სტეფან აპიამ (ორივე პარმა), ჯონათან ბაკინმ (იუვენტუსი) და ჰარალდ პოლო კაპენაარმა (უტრეხტი).

მომსვლელების სიაში არიან ვიჩენცო მონტელა (სამპდორია), დავიდ პაძარო (სანტიაგო უონდერერზი), ოლივიე რენარდი (შარლეროა), სილვა დოს სანტოს ვარლეი (ატლეტიკო პარანაენსე) და კლუბის უკანასკნელი შენაძენი რობერტო მუცი, რომლის სანაცვლოდაც უდინელებმა „კალიარის" 20 მილიარდი ლირა (10,55 მილიონი დოლარი) გადაუხადეს. სწორედ მუცი ესახებათ „უდინეზეს" გულშემატკივრებს ამოროზოს შემცვლელად.

უკვე ხუთი დღეა, რაც კლუბს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ფრანჩესკო გუიდოლინი სერია B-ში მოასპარეზე „პესკარას" ყოფილმა თავკაცმა ლუიჯი დი კანიომ შეცვალა.

— მინდა ფეხბურთელები ერთ გუნდად შევკრა, რომელიც დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს — განაცხადა დი კანიომ. მისი თქმით, „უდინეზე" გაისად მინიმუმ შარშანწინდელი შედეგის გამეორებას ეცდება.

ზვიად გაჩეჩილაძე

ბაიერნელები...

მათეუსიც და ბაბელიც ბაიერნში. ბასლერი?

ზუსტად ერთ თვეში ბუნდესლიგის მორიგი გათამაშება იწყება. ბუნებრივია, გუნდები სეზონისთვის მზადებას უკვე შეუდგნენ. გამონაკლისი არც შარშანდელი ჩემპიონი, თასის და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი მიუნხენის „ბაიერნია".

„ბაიერნი" გარკვეულწილად უჩვეულო მდგომარეობაშია. იმ დროს, როცა გუნდები ახალი ფეხბურთელების შეძენით არიან დაკავებულნი, მიუნხენური კლუბი, რომელიც გერმანიის მასშტაბით უმდიდრესია დორტმუნდის „ბორუსიასთან" ერთად, მოთამაშეების შენარჩუნებას ცდილობს.

ეს ფაქტი მავან ფეხბურთის ქომაგს გააკვირვებს, რა სჭირს „ბაიერნს" ფეხბურთელების სახვეწარიო, მაგრამ საქმე მთლად ეგრე არ არის. სეზონის ბოლოს მიუნხენური კლუბის დატოვება, ერთბაშად მის სამ წამყვან ფეხბურთელს, ლოთარ მათეუსს, მარკუს ბაბელს და მარიო ბასლერს ჰქონდათ განზრახული. დამეთანხმებით, რომ ამ მოთამაშეების კლუბიდან წასვლა „ბაიერნის" თამაშის ხარისხზე აშკარად უარყოფითად იმოქმედებს.

ლოთარ მათეუსის განცხადება „ბაიერნიდან" „ნიუ ჯერსი მეტროსტარზში" წასვლის შესახებ გასაკვირი არავისთვის ყოფილა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელი ერთი ფაქტორიცაა — 38 წლის ლოთარი უკანასკნელ სეზონში ისე ათამაშდა, არათუ აშშ-ს, მსოფლიოს ნებისმიერი ლიგის კლუბს დაამშვენებდა. ეს ვეტერანი მცველი რას წარმოადგენს მიუნხენური კლუბისთვის, ქართველმა გულშემატკივარმა ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ ფინალშიც იხილა. ალბათ, ყველას ახსოვს, რასაც დაემსგავსა „ბაიერნის" დაცვა მას შემდეგ, რაც ოტმარ ჰიცფელდმა ის მატჩის მიწურულს სათადარიგოთა სკამზე დასვა.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მათეუსი ნიუ იორკში უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ბოლო მომენტში თავად ლოთარმა განაცხადა, „ბაიერნში" ნახევარ სეზონს კიდევ ვითამაშებ და ზამთრის არდადეგების შემდეგ ვეწვევი ამერიკასო. ვეტერანი ფეხბურთელის ამ განცხადებამ მიუნხენელი გულშემატკივრები დიდად გაახარა. დასტურად კი, გუნდის ფანკლუბმა დიდი ბანკეტიც მოაწყო.

გამოხდა ხანი და „ბაიერნის" გულშემატკივართ ახალი ბანკეტის მოწყობის საბაბი მიეცათ. გუშინწინ მიუნხენური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, ლოთარი გუნდში კონტრაქტის დასრულებამდე დარჩებაო, რაც იმას ნიშნავს, რომ მათეუსი გერმანული კლუბის ღირსებას 2000 წლის 30 ივნისამდე დაიცავს.

— ვურჩიე ლოთარს, დარჩენილიყო „ბაიერნში". ის გუნდს ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს — განუცხადა 1980-81 წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა გერმანულ ყოველკვირეულ გაზეთ BILD-ს.

— მათეუსი რამდენად კარგი ფეხბურთელია, იმდენად კარგი ადამიანიცაა, ამიტომაც დავთანხმდა „ბაიერნში" კიდევ ერთი სეზონის გატარებაზე. ამას გარდა, ვფიქრობ, ჩვენ კლუბში თამაში მას 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის რეალურ შანსსაც აძლევს — თქვა მიუნხენური გუნდის დირექტორმა ული ჰაინესმა.

„ბაიერნის" ხელმძღვანელობამ მარკუს ბაბელიც დაიჭოლია. გადაწყდა — ბაბელი, რომელსაც ესპანური „რეალ მადრიდი" და ინგლისური „ლივერპული" ეპატიჟებოდნენ, კლუბს მხოლოდ მომავალი სეზონის დასრულების შემდგომ გამოიცვლის.

თუ მიუნხენურმა კლუბმა მათეუსთან და ბაბელთან ყველანაირი პრობლემა მოაგვარა, გუნდიდან მარიო ბასლერის წასვლა ჯერ კიდევ აქტუალურია.

— ვერ გავუგე მარიოს. ის არასწორ გზას ადგას. ფეხბურთელს და კლუბს შორის ხშირად გაუგებრობაა, მაგრამ ვთვლი, რომ ეს პრობლემები უმტკივნეულოდ უნდა მოგვარდეს. არ მინდა ბასლერის შემთხვევა ციგესა და ნერლინგერისას დაემსგავსოს. ალბათ, გახსოვთ, გუნდთან უთანხმოების შედეგად ორივე მათგანმა დატოვა „ბაიერნი" — განაცხადა რუმენიგემ.

30 წლის სუპერმარიოდ წოდებულმა ბასლერმა ერთ-ერთი გერმანული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ კლუბთან უთანხმოების უმთავრესი მიზეზი, მისი ჰონორარის სიმცირეა. „არ მესმის, რატომ უნდა იღებდეს ეფენბერგი სეზონში 6 მილიონ მარკას, მე კი მასზე გაცილებით ნაკლებს? მით უმეტეს, გუნდისთვის მარიო ბასლერი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შტეფან ეფენბერგი".

— მარიოს საქციელს ახსნა არ აქვს. რა მისი საქმეა, რამდენს იღებს ეფენბერგი? მისი მსჯელობიდან გამომდინარე, „ინტერში" ფეხბურთელებმა აღარ უნდა ითამაშონ, კრისტიან ვიერის ხომ ყველაზე მეტს უხდიან. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უფრო მნიშვნელოვანია „ბაიერნისთვის", ბასლერი თუ ეფენბერგი, ეგ კიდევ საკითხავია — განაცხადა სუპერმარიოს საქციელით აღშფოთებულმა მიუნხენელთა პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმა.

სანამ „ბაიერნი" კლუბში მოთამაშეების დარჩენა-არდარჩენით იყო დაკავებული, გერმანიაში საწვრთნელი სეზონიც მოვიდა. კლუბთან ერთად უკვე ვარჯიშობს ორი ახალწვეული, რომლებიც გაისად მიუნხენელთა ღირსებას დაიცავენ — ახალგაზრდა პარაგვაელი თავდამსხმელი როკე სანტა კრუსი და ბრაზილიელი პაულო სერჟიო. ისინი გერმანულ გუნდში შესაბამისად ასუნსიონის „ოლიმპიადან" და რომის „რომადან" გადავიდნენ.

გასულ შაბათს „ბაიერნმა" პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა მეოთხელიგელ „ვაიდენთან". შეხვედრა 1:0 დასრულდა მოყვარულთა სასარგებლოდ.

ძოკა ჭაკადუა

ფაბიო კაპელოს ჯორკაეფი თვალში მოსვლია

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ იური ჯორკაეფს მილანის „ინტერის" დატოვება მოუწადინებია.

— „ინტერში" სამი სეზონი გავატარ. თუ როგორ, ეს გულშემატკივრებმა განსაჯონ. ახლა კი, ვგონებ, დროა, მილანი დავტოვო და სხვა კლუბში მოვსინჯო ძალები — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა.

ამის თქმა და ჯორკაეფით დაინტერესებული კლუბების გამოხმაურება ერთი იყო. ამ კლუბებს შორის ძირითადად ფრანგული, ესპანური და ინგლისური გუნდები იყვნენ.

ვერ ვიტყვით, ფეხბურთელის ფასმა დააფრთხო, თუ თავად გადაიფიქრეს ჯორკაეფის შეძენა, საბოლოოდ ფრანგის რეალურად მყიდველი მხოლოდ ორი კლუბი დარჩა — სევილიის „ბეტისი" და ათენის „ოლიმპიაკოსი".

საფეხბურთო წრეებში ყველა ელოდა, რომ ჯორკაეფი მომავალ სეზონში ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი გუნდის მაისურას მოირგებდა, მაგრამ ამ უქმეებზე სულ საპირისპირო რამ აღმოჩნდა.

თურმე შესაძლებელია ფრანგი ნახევარმცველი არც ესპანეთში გაემგზავროს და არც საბერძნეთში, არამედ ისევ იტალიაში დარჩეს.

არ გეგონოთ, თითქოს ფეხბურთელმა „ინტერთან" კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტა. გასულ შაბათს მილანელებს „რომას" სელექციონერები დაკავშირებიან, მაგ ფრანგს რამდენად მოგვყიდითო.

— დიდი ხანია, იურის ვაკვირდები, ის ძლიერი ფეხბურთელია და, ვფიქრობ, გამოგვადგება. თუ მას „ინტერიდან" წასვლა სურს, რატომ არ უნდა გადმოვიდეს „რომაში"? — განაცხადა დედაქალაქელთა ახალმა თავკაცმა, ფაბიო კაპელომ. მისივე თქმით, „რომა" თანახმაა, შეიძინოს ჯორკაეფი, თუ მისი ფასი 7 მილიონ გირვანქაზე მეტი არ იქნება. სწორედ ამდენი გამოყო რომაული კლუბის ხელმძღვანელობამ პსჟ-ს ყოფილი მოთამაშის საყიდლად.

ძოკა ჭაკადუა

მომავლის იმედად

ტურინის „იუვენტუსმა" პირველი ამხანაგური მატჩი გამართა — კარლო ანჩელოტის კლუბი ვალე დაოსტაში იქაურ მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდს ეთამაშა.

„იუვენტუსმა" 5:0 მოიგო და ეს გასაკვირი არცაა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურინელები მეორე შემადგენლობით თამაშობდნენ.



ედვინ ვან დერ სარი

— გუნდმა უკეთესად ითამაშა, ვიდრე მოველოდი. პირველი თამაშის კვალობაზე არა უშავს — განაცხადა ანჩელოტიმ.

იტალიის ყველაზე ტიტულიანი გუნდი სრული შემადგენლობით ვარჯიშს შაბათიდან შეუდგება, მანამდე კი კლუბის ვარსკვლავები ინდივიდუალურად, საგანგებოდ მათთვის განკუთვნილი პროგრამით ვარჯიშობენ. ცალკე ემზადებიან ალესანდრო დელ პიერო, ზინედინ ზიდანი, ედვინ ვან დერ სარი, ფილიპო ინძაგი. რაც შეეხება ჰოლანდიელ ნახევარმცველ ედგარ დავიდსს, იგი ნისლიან ალბიონზე იმყოფება და „მანჩესტერ იუნაიტედში" შესაძლო ტრანსფერის თაობაზე მანჩესტერული გუნდის წარმომადგენლობას ხვდება.

ახლა ვალე დაოსტასთან მატჩზეც ვთქვათ. კარლო ანჩელოტიმ, არც მეტი არც ნაკლები, ცხრამეტი ფეხბურთელი ათამაშა, თუმცა უმეტესობა სათადარიგო იყო. მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა „უდინეზედან" შეძენილი ჯონათან ბაკინით და ახალგაზრდა მეკარით, ისაკსონით. ანჩელოტიმ ისიც დასძინა, შვეიცარიელი ნახევარმცველი პატრიკ მიულერი ციურიხის „გრასჰოპერში" გავყიდეთ, თუმცა უფლება დავიტოვეთ, იგი მომავალი ორი წლის განმავლობაში პირველებმა ჩვენ შევიძინოთო.

— ძალიან ცუდი სეზონი გვქონდა, თუმცა ჩავარდნა ვის არ ჰქონია, ყოველთვის ხომ ვერ გაიმარჯვებ. ახალი სეზონის წინ „იუვენტუსში" საკმაოდ კარგი ფეხბურთელები მოვიდნენ, ეს კი იმედს გვაძლევს, რომ მომავალ ჩემპიონატში წარმატების მიღწევას შევძლებთ — განაცხადა „იუვენტუსის" ექსვარსკვლავმა რობერტო ბეტეგამ, რომელიც კლუბში სატრანსფერო საკითხებს განაგებს.

რაც შეეხება „იუვენტუსის" შემადგენლობას „ვალე დაოსტასთან" 5:0 მოგებულ შეხვედრაში, იგი ასეთი გახლდათ: რამპულა (ისაკსონი 46), ფერარა, იულიანო (ლავეკია 71), ბაკინი (რედავიდი 81), ტუდორი, ბირინდელი (ობრაინი 46), პესტო (სკარდინა 64), ტაკინარდი (ამეტრანო 57), ამორუზო, პეროტა (გასბარონი 77), რიგონი (სკული 46)

გოლები ამ მატჩში სამმა ფეხბურთელმა გაიტანა — ნიკოლა ამორუზომ ჰეთ-თრიქი შეასრულა, ალესანდრო ბირინდელი და ჯანლუკა პესტო კი თითო ბურთით დაკმაყოფილდნენ.



დღეს ბრაზილია სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ნახევარფინალში მექსიკას ეთამაშება. ვანდერლეი ლუქსემბურგოს გუნდი ფავორიტად მიიჩნევა, თუმცა არც მექსიკაა ჯაბანი.

ბრაზილიელები „კოპა ამერიკას“ მოსაგებად იბრძვიან. ორი წლის წინ, ბოლივიაში, მარიო ზაგალომ ნაკრებს პირველად მოაგებინა კონტინენტის ჩემპიონატი უცხო ქვეყანაში. დღესდღეობით ვანდერლეი ლუქსემბურგო ცდილობს, ასევე ბრაზილიის ფარგლებს გარეთ გაამარჯვებინოს გუნდს.

ვნახოთ, რას იზამენ ბრაზილიელები. „კოპა ამერიკას“ დასასრულამდე არც ისე დიდი დროა, მანამდე კი მსოფლიოს ოთხგის ჩემპიონთა მწვრთნელს, ვანდერლეი ლუქსემბურგოს მოვუსმინოთ.

ჯერ მხოლოდ ნაკრებში

— შარშან ბრაზილიის ნაკრებს და „კორინთიანსს“ შეთავსებით ხელმძღვანელობდით, ახლა კი მხოლოდ ნაკრებს წვრთნით. როგორ ფიქრობთ, უკეთესია თუ არა ნაკრების მწვრთნელისთვის მხოლოდ ერთი გუნდის თავკაცობა?

— ამ საკითხზე ხშირად მიფიქრია და მუდამ ერთ დასკვნამდე მივდივარ — ძნელია პასუხის გაცემა. იცით, როცა გუნდს წვრთნი, არა აქვს მნიშვნელობა, კლუბი იქნება თუ ნაკრები, ხანდახან გრძნობ აუცილებლობას, მუდამ ყველაფრის საქმის კურსში იყო, ყველაფერს თვალს ადევნებდე. თუმცა, მეორეს მხრივ, საქმეს თავი არ უნდა შესწირო. სწორად გამიგეთ — სულაც არ ვგულისხმობ, თითქოს მწვრთნელობას სერიოზულად არ უნდა მიუდგე, უბრალოდ, ხანდახან სხვა რამეც უნდა აკეთო. ისე, ერთი გუნდის ხელმძღვანელობა მიჯობს.

— სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატამდე გუნდი თამაშებით განებივრებული არ ყოფილა. რით გახლდათ ეს გამოწვეული და როგორ ფიქრობთ, აისახება სპარინგ-პარტნიორთა ნაკლებობა ბრაზილიის ნაკრებზე?

— რით გახლდათ გამოწვეული მეტოქეთა ნაკლებობა, ამაზე უბრალოდ ინტერვიუ ვერ გიპასუხებთ, რომ ჩემი კომპეტენცია არაა. რაც შეეხება მეტოქეთა ნაკლებობას, ვეჭვობ, ჩემს გუნდზე ეს უარყოფითად აისახოს. მე, როგორც მწვრთნელს, მიმაჩნია, რომ ამხანაგური მატჩები ხშირად უნდა ვითამაშოთ, რადგან გუნდის ჩამოყალიბებისთვის ამაზე უკეთეს საშუალებას ვერ ვხედავ.

— თუ ამხანაგური თამაშების ხშირად ჩატარება ვერ შეძელით, რა გზით უნდა მოამზადოთ ბრაზილიის ნაკრები?

— სამხრეთამერიკული გუნდების მომზადების სტილი ძალიან განსხვავდება ევროპულისგან. როგორ ფიქრობთ, ინგლისი და ბრაზილია ერთნაირად მოემზადება? ცხადია, ვერა. შეხედეთ ინგლისს — გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის გარდა მალტასაც ეთამაშება, კვიპროსსაც. ჩვენ, ბრაზილიელებს, ძლიერი მეტოქეების ძებნა გვიწევს, როცა ევროპაში ამის პრობლემა არ არის. მოვიწვიეთ იტალია, მაგრამ არ ჩამოვიდა, ინგლისმაც უარი გვტკიცა. ამიტომ გვიწევს მომზადების სხვადასხვა გზების ძიება.

— ბრაზილიის ნაკრებს ამერიკული ფირმა „ნაიკი“ სპონსორობს. იმ გუნდებიდან, რომლებსაც თქვენ ეთამაშეთ, ბევრს სწორედ ეს ფირმა მფარველობს. ნუთუ „ნაიკი“ გირჩევთ მეტოქეებს?

— არა, რას ამბობთ. „ნაიკი“ მხოლოდ გუნდის სპონსორია და მეტი არაფერი. მერე რა, რომ ჩვენს მეტოქეებსაც „ნაიკი“ აფინანსებს. დიდი ფირმაა, საქვეყნოდ განთქმული. ეს უბრალოდ დამთხვევაა.

— თქვენი ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრები გაახალგაზრდავდა და გუნდში ბევრი ახალი სახელი გაჩნდა. სანამ მწვრთნელი გახდებოდით, თუ გრძნობდით გუნდის გაახალგაზრდავების აუცილებლობას?

— ვფიქრობ, ახალი ფეხბურთელების გამოცდა აუცილებელია. ამხანაგური მატჩები სწორედ ამისთვის მჭირდება. რა შავდება იმით, რომ ჩემს გუნდში ყველა სახელდაგდებული ფეხბურთელი არაა? მე რომ ისინი ნაკრებში არ ამეყვანა, ეგებ მთელი ცხოვრება საკლუბო დონის ფეხბურთელებად დარჩენილიყვნენ. აი, ამოროზო აიღეთ. განა ცუდი ფეხბურთელია? არადა, გუნდში არ იწვევდნენ. ამოროზომ გამიმართლა და მჯერა, ასეთ, გუნდისთვის საჭირო მოთამაშეებს კვლავ ვიპოვნი.

— როგორც ჩანს, გუნდის მთლიანი გადახალისება გადაგიწყვეტიათ.

— რა თქმა უნდა. ზოგიერთის დრო წავიდა. კი, მათ ბევრი გააკეთეს გუნდისთვის, მაგრამ დროა, გზა სხვას დაუთმონ. ცხადია, არც იმას ვაცხადებ გადაჭრით, თითქოს ასაკოვან ფეხბურთელებს ნაკრებში მოხვედრის შანსი არა აქვთ. იგივე ჟუნიორ ბაიანო, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, დღეს გუნდში არაა. სამაგიეროდ, თუ დაიმსახურებს, აუცილებლად დავაბრუნებ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ — გუნდის გადახალისება აუცილებელ პირობად მიმაჩნია, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს გონიერად, ისე, რომ ნაკრები არ დაზარალდეს.

— ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაში მოუწევს, თუმცა მანამდე ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრი გაქვთ — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი და კონფედერაციათა თასის გათამაშება. ბრაზილია, ალბათ, ორივეგან გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

— რა თქმა უნდა. „კოპა ამერიკა“ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. პარაგვაიში ჩვენზე ძლიერ გუნდს ვერ ვხედავ და ძალიან საწყენი იქნება, თუ ვერ გავიმარჯვებთ. ვეცდებით, კონფედერაციათა თასიც მოვიპოვოთ. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს, ამაზე საუბარი მერე იყოს, მანამდე იმას უნდა მივაღწიოთ, რაც დაგეგმილი გვაქვს.

— პრობლემად მიგაჩნიათ თუ არა ის, რომ ბრაზილიის ნაკრების ძირითადი ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ?

— არა, ვფიქრობ, ეს უკეთესიცაა. ევროპაში ფეხბურთელები ოსტატდებიან, დონეს იმაღლებენ. რაც უნდა იყოს, დღესდღეობით ყველაზე თანამედროვე ფეხბურთს სწორედ ევროპაში თამაშობენ. იქიდან ჩამოსულებს კი, ცხადია, ნაკრებისთვისაც სარგებელი მოაქვთ. არა, ეს პრობლემად არ მიმაჩნია.

— დენილსონზე რას ფიქრობთ? მას ესპანეთში თამაში გაუჭირდა.

— ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ფეხბურთელები, რომლებიც აქ დიდ კლუბებში თამაშობენ, ხოლო შემდეგ ევროპაში მიდიან პატარა კლუბებში, ხშირ შემთხვევაში იკარგებიან. აი, თუნდაც ჟუნინიო ავიღოთ — ის „არსენალში“, ანაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ გადასულიყო, მისი კარიერა სულ სხვანაირად წარიმართებოდა, ახლა კი მას, ისევე, როგორც დენილსონს, უჭირს. რივალდო სწორად მოიქცა — შესანიშნავ „დეპორტივოში“ წავიდა, მერე უძლიერეს „ბარსელონაში“ მოხვდა. ამიტომაცაა, ახლა ვარსკვლავად რომ ჩამოყალიბდა. დენილსონმა რომ ვერ გაიბრწყინა, ამის მიზეზი სწორედ ზემოთქმულია.

— რონალდოზე რას იტყვით?

— მეც და მანაც ვიცით, რომ ერთმანეთისთვის საჭირო ვართ. ჩემს თავში, ცხადია, ნაკრებს ვგულისხმობ. მეტი რა გითხრათ, კიდევ ერთხელ ხომ ვერ შევაქებ. ჩემი აზრით, ოთხიხუთი კარგად ნათამაშევი მატჩი სავსებით საკმარისი იქნება, რათა რონალდოს კრიზისი დაივიწყონ. რონალდო ნამდვილი ვარსკვლავია.

— როცა ბრაზილიის ნაკრებს გამოემშვიდობებით, რომელიმე დიდ ევროპულ კლუბს გაწვრთნით?

— ხშირად მიფიქრია, რომ შევძლებ „ბარსელონას“, ანაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცობას, თუმცა რა ვიცი, მერე რა იქნება. ჯერჯერობით მსურს, ვუხელმძღვანელო ევროპულ კლუბს, თუმცა დადგება თუ არა ეს დრო, ვერ გეტყვით. ჯერ მე ბრაზილიის ნაკრებთან ვარ დაკავშირებული.

მოამზადა ლაშა გოდუაძემ

Mexico'99

FIFA CONFEDERATIONS CUP

24 July to 4 August, 1999

ვარსკვლავები რჩებიან

ივლისის მიწურულს კონფედერაციათა თასის გათამაშება დაიწყება. იმ რვა გუნდში, რომლებიც მექსიკაში ჩავლენ და კონტინენტთაშორის ჩემპიონის სახელს გაითამაშებენ, ბრაზილიაცაა.

ვანდერლეი ლუქსემბურგოს ნაკრები დღესდღეობით სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე თამაშობს და ტურნირის უპირველესი ფავორიტიცაა. თუმცა მწვრთნელი აცხადებს, რომ კონფედერაციათა თასზე მისი გუნდი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე გაემგზავრება.

— მოთამაშეები ძალიან გადაიღალნენ და დასვენება სჭირდებათ. რამდენიმე მათგანს გამოვცვლი, რათა ლიდერებმა მომავალი სეზონის წინ დასვენება შეძლონ — თქვა ლუქსემბურგომ.

ჯერჯერობით გადაწყვეტილია, რომ თავდამსხმელები რონალდო და ამოროზო, ნახევარმცველი რივალდო და მცველები კაფუ და რობერტო კარლოსი კონფედერაციათა თასზე არ იასპარეზებენ. მათ ნაცვლად ლუქსემბურგომ ნაკრებში მეკარე რენატო, თავდამსხმელი ვარლეი და მცველები ლუის ალბერტო და აზირსონი მიიწვია. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს ბრაზილიის ნაკრებში არ უთამაშია.

კონფედერაციათა თასზე გასამგზავრებელი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა დღესდღეობით ასეთია: მეკარეები — დიდა (მილანი, იტალია), მარკოსი (პალმეირასი), რენატო (კორინთიანსი); მცველები — ევანილსონი, ჟოაო კარლოსი (კრუზეირო), ოდვანი (ვასკუ და გამა), სეზარი (პორტუგეზა), ლუის ალბერტო, აზირსონი (ფლამენგო), სერჟინიო (სან პაულუ); ნახევარმცველები — ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), ემერსონი, ზე რობერტო (ლევერკუზენი, გერმანია), მარკოს პაულო (კრუზეირო), ბეტო (ფლამენგო), ალექსი (პალმეირასი); თავდამსხმელები — რონალდინიო (გრემიო), კრისტიანი (ინტერნასიონალი), რონი (ფლუმინენსე), ვარლეი (სან პაულუ).

მსაჯებიც გამოცხადდნენ

კონფედერაციათა თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დაასახელა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც 24 ივლისიდან ტურნირს მოემსახურებიან.

მსაჯები: კიმ იუნგ იო (კორეა), კოფი კოდიჯა (ბენინი), ბრაიან ჰალი (აშშ), ხილბერტო ალპალა (მექსიკა), ოსკარ რუის აკოსტა (კოლუმბია), უბადლო აკინო (პარაგვაი), მასიმო რავეინო (ტაილანდი), ანდერს ფრისკი (შვეიცარია).

თანამსაჯები: ავნი ასუნე (იორდანია), დომინგო პეკუენინო (მოზამბიკი), პეტერ კელი (ტრინიდადი), ვლადიმირ ბერტიაგა (პანამა), ბომერ ფიერო (ეკვადორი), მანუელ ნეირა (პერუ), სურეშ ბეჰარი (ფიჯი), ფერნანდო ტრესაკო (ესპანეთი).

გერმანია უპირველეს ყოვლისა

კონფედერაციათა თასის გათამაშებაში გერმანიაც მონაწილეობს. ბუნდესნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა, ისევე, როგორც მისმა ბრაზილიელმა კოლეგა ვანდერლეი ლუქსემბურგომ, გუნდში რამდენიმე ახალწვეული მიიწვია და მთლიანობაში საკმაოდ გაახალგაზრდავებული ნაკრები შექმნა.

მექსიკაში ვერ ითამაშებს ნაკრების უპირველესი თავდამსხმელი, იტალიის ჩემპიონი ოლივერ ბირჰოფი. მან რიბეკს მძიმე სეზონის შემდეგ დასვენება სთხოვა და მწვრთნელმაც გაათავისუფლა. გერმანიის ღირსებას ვერ დაიცავენ მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი, „ლევერკუზენის“ ნახევარმცველი შტეფან ბაინლიხი და ბრემენის „ვერდერში“ მოთამაშე მარკო რეგერი. ყველა მათგანი დაშავებულია.

რაც შეეხება ახალწვეულებს, ისინი ხუთნი არიან და არც ერთ მათგანს არათუ ნაკრებში არ უთამაშია, გუნდის შეკრებაზეც არ გამოუძახებიათ. მეორე ბუნდესლიგის კლუბ „კარლსრუეს“ მეკარე სიმონ იენცეში, ბრემენის „ვერდერის“ მცველი ფრანკ ბაუმანი, ბილეფილდის „არმინიას“ ნახევარმცველი რონალდ მოლი, „ლევერკუზენის“ შუახაზელი ბერნდ შნაიდერი და პორტუგალიური „ბენფიკას“ კარის დარაჯი რობერტ ენკე ახლა ნაკრებში არიან და შესაძლოა მისი სახელით იასპარეზონ.

გერმანიის ნაკრების შემადგენლობა ასეთია: მეკარეები: რობერტ ენკე (ბენფიკა, პორტუგალია), სიმონ იენცეში (კარლსრუე), იენს ლემანი (დორტმუნდი); მცველები — ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), ტომას ლინკე, ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი); ნახევარმცველები — მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), იორგ ჰაინრიხი (ფიორენტინა, იტალია), რონალდ მოლი (არმინია), ლარს რიკენი (დორტმუნდი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), მეჰმეთ შოლი (ბაიერნი), დარიუს ვოში (ჰერტა); თავდამსხმელები — მარკო ბოდე (ვერდერი), ჰორსტ ჰელდტი (აინტრახტი), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი), ოლივერ ნოვილი (ლევერკუზენი), მიხაელ პრეეცი (ჰერტა).

ლოთარ მათეუსი (მარჯვნივ) კვლავ ნაკრებშია

ფეხბურთის რუკასთან

ესპანურმა ლა კორუნიის „დეპორტივომ“ საფრანგეთის ჩემპიონ „ბორდოსგან“ ივან პერესი შეიძინა. ფეხბურთელმა, რომელშიც „დეპორტივომ“ 3,6 მილიონი დოლარი გაიღო, ახალ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბის — „ლივერპულის“ აქციათა 9,9 პროცენტი ბრიტანეთის ერთ-ერთმა ყველაზე უმსხვილესმა კორპორაციამ — GRANADA-მ 22 მილიონ გირვანქად (34,24 მილიონი დოლარი) შეიძინა.

ინგლსელი მაიკლ დაბერი შესაძლოა ლონდონური „ჩელსიდან“ „ლიდს იუნაიტედში“ ველარ გადავიდეს. გარიგება, რომელიც პრაქტიკულად დასრულებული იყო, ბოლო მომენტში ჩაიშალა. ლიდსელებმა არისტოკრატებს შეპირებული 6,5 მილიონი გირვანქა არ გადაუხადეს. „ვერ გავიგე, რა მოხდა. თავი უკვე „ლიდსის“ მოთამაშე მეგონა, როცა გარიგების ჩაშლის ამბავი შევიტყვე“ — განაცხადა მაიკლ დაბერმა, რომლის აგენტიც მომავალ ორშაბათს ლიდსში ჩავა და ყველაფრის გარკვევას შეეცდება. გამორიცხული არც ისაა, რომ ტრანსფერი შედგეს და დაბერი მომავალ სეზონში „ლიდსში“ აღმოჩნდეს.

უძრაინის ჩემპიონატის I ტური გაიმართა. კრივბასი — დინამო 1:1; შახტიორი — ზირკა 1:0; ვორსკლა — დნეპრი 4:0; მეტალურგი (ზ) — ტავრია 3:2; მეტალურგი (მ) — ჩერნომორეცი 5:0; პრიკარპატიე — მეტალურგი (დ) 1:1; ნივა — კარპატი 1:2; ცსკა — მეტალისტი 0:1.

ნორვეგიის საფეხბურთო პირველობის ლიდერმა — „რუსენბორგმა“ ლისაბონის „ბენფიკას“ 30 მილიონ კრონად (3,8 მილიონი დოლარი) სიგურდ რუშფელდტი მოჰყიდა. 26 წლის თავდამსხმელმა, რომელიც მსაჯებთან გაუთავებელი კამათითაა ცნობილი, ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. რუშფელდტი „ბენფიკას“ 31 ივლისს შეუერთდება, როცა პორტუგალიის დედაქალაქში ჩაფრინდება.

ინლისის დედაქალქურ „არსენალს“ ემილ ჰესკის შეძენა სურს და მის სანაცვლოდ თანაქალაქელ „ტოტენჰემს“ 6 მილიონ გირვანქას სთავაზობს. „მეთოფეები“ ჰესკით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ლივერპულელი რობი ფაულერის გადაბირებაში მოეცარათ ხელი.

ტაილანდელი კიატისაკ სენამუანგი შესაძლოა ინგლისურ „მიდლსბროში“ გადავიდეს. თუ ეს გარიგება შედგა, სენამუანგი პირველი ტაილანდელი ფეხბურთელი იქნება, რომელიც პრემიერლიგაში ითამაშებს. ინგლისელმა სელექციონერებმა სენამუანგს გასულ მაისს დაადგეს თვალი, როცა ტაილანდის ეროვნული ნაკრები ლონდონის „არსენალს“ ბანკოკში ამხანაგურად ეთამაშა. ის შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 4:3. ტაილანდელთაგან ორი გოლი, სწორედ სენამუანგმა გაიტანა.

ინგლისური „ასტონ ვილას“ თავდამსხმელის, სტენ კოლიმორის ბერძნულ „პანათინაიკოსში“ გადასვლა ჩიაშალა, რადგან ბერძნებმა ფეხბურთელში 3 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, რაც ინგლისელებს ეცოტავათ. „ასტონ ვილა“ თანახმაა, კოლიმორი თანაქალაქელ „ბირმინგემ სიტის“ მიჰყიდოს, თუ ეს უკანასკნელი მათ სასურველ თანხას გადაუხდის.

გერმანულმა „კაიზერსლაუტერნმა“ თავის 22 წლის მცველი მიქაელ ბალოკი კლუბის გაკრიტიკების გამო 5 ათასი მარკით (2,612 ათასი დოლარი) დააჯარიმა. „უსამართლოდ დავისაჯე, უბრალოდ, სიმართლე ვთქვი“ — განაცხადა ბალოკმა, რომელიც 2000-2001 წლების სეზონში ლევერკუზენის „ბაიერის“ ღირსებას დაიცავს.

გერმანიის ლიგის თასის გათამაშების ნახევარფინალურ შეხვედრაში მიუნხენის „ბაიერნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის, რომელიც დღეს გაიმართება, მიუნხენელებს ხუთი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდებათ. თუ მარიო ბასლერი თავისი კაპრიზების გამო არ ითამაშებს, მეკარე ოლივერ კანი, მცველები — ბიქსენტ ლიზარაზუ და ტომას შტრუნცი, აგრეთვე თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი, „ბაიერს“ ტრავმების შედეგად ვერ დაეხმარებიან.

ჩეხი ფლორენციაში

პაველ ნედვედი

იტალიურ „ფიორენტინას“ რომის „ლაციოსა“ და ჩეხეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის, პაველ ნედვედის შეძენა სურს და ამისათვის 12 მილიონი გირვანქის გადახდაზე თანახმაა.

— პაველი ჩვენი კლუბისთვის არის დბადებული, სწორედ ასეთი ფეხბურთელი გვჭირდება. ახლა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ დედაქალაქელებთან და, ალბათ, შეთანხმებასაც მივაღწევთ — თქვა ფლორენციელთა წარმომადგენელმა.

პაველ ნედვედი, რომელიც „ლაციოში“ უკვე ორი წელია თამაშობს, თურმე რომაული კლუბის ხელმძღვანელობაზე განაწყენებულია, რადგან იტალიელებმა, ის ფულთან ერთად ლონდონის „არსენალს“ შესთავაზეს ფრანგი ნიკოლა ანელკას სანაცვლოდ.

— თუ ჩემი კლუბში დარჩენა არ სურთ, პირდაპირ ეთქვათ და წავიდოდი. არ მეგონა, გუნდის ხელმძღვანელობისთვის ასე ცოტას თუ ვნიშნავდი — განაცხადა ჩეხმა ფეხბურთელმა.

სავარაუდოდ, ნედვედის ბედი ამ კვირაში უნდა გაირკვეს, როცა „ლაციოს“ და „ფიორენტინას“ წარმომადგენლები სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად შეხვდებიან ერთმანეთს.

ნედვედის თქმით, „ფიორენტინას“ გარდა მისით სხვა კლუბებიც არიან დინეტერესებული. თუ რომლის ღირსებას დაიცავს იგი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

სარგბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

წარსულის შედეგები

CHAMPIONS LEAGUE · Cup Winners' Cup · UEFA CUP

1955 წელს ევროტურნირების ისტორიაში პირველი მატჩი ჩატარდა. მას შემდეგ კი თითქმის ნახევარი საუკუნე გამოხდა.

ცხრილში, რომელსაც დღეს გთავაზობთ მოცემულია აქამდე გამართულ ევროთასებზე მონაწილე ყველა კლუბის საერთო შედეგები.

1955 წლიდან მოყოლებული დღემდე ევროთასებზე 715 კლუბმა ითამაშა. ამჯერად მხოლოდ საუკეთესო 75-ეულს გთავაზობთ, შემდეგში კი ყველა გუნდის მიღწევების გაცნობაც შეგეძლებათ.

ერთიც: პირველი რიცხვი კლუბის ევროტურნირებში მონაწილეობის რაოდენობას აღნიშნავს.

1	იუვენტუსი (იტალია)	38	283	166	53	64	515:241	385
2	ბარსელონა (ესპანეთი)	41	301	158	68	75	590:332	384
3	რეალი (მადრიდი, ესპანეთი)	42	292	165	49	78	621:308	379
4	ბაიერნი (გერმანია)	31	231	129	52	50	470:234	310
5	ბენფიკა (პორტუგალია)	40	235	115	59	61	426:238	289
6	ინტერი (მილანი, იტალია)	36	229	118	49	62	364:201	285
7	ანდერლეხტი (ბელგია)	39	230	114	45	71	411:280	273
8	აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია)	35	207	119	34	54	388:187	272
9	მილანი (იტალია)	29	199	108	44	47	351:175	260
10	ლივერპული (ინგლისი)	27	174	100	33	41	339:144	233
11	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	37	197	95	35	67	378:256	225
12	ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი)	32	176	96	29	51	299:190	221
13	გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)	38	195	89	40	66	320:259	218
14	დინამო (კიევი, უკრაინა)	28	162	83	35	44	259:161	201
15	კიოლნი (გერმანია)	25	160	84	29	47	310:186	197
16	პორტუ (პორტუგალია)	37	175	82	33	60	262:196	197
17	სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია)	34	162	81	31	50	281:166	193
18	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)	23	144	73	43	28	278:150	189
19	სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)	25	148	78	31	39	250:164	187
20	ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია)	29	153	77	32	44	286:171	186
21	სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია)	39	165	70	37	58	278:205	177
22	ბორუსია (გლადბახი, გერმანია)	18	125	75	26	24	283:139	176
23	ჰამბურგი (გერმანია)	21	137	76	22	39	273:162	174
24	პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანიდა)	30	154	67	36	51	273:171	170
25	რომა (იტალია)	22	136	68	26	42	211:137	162
26	ფერენცვაროში (უნგრეთი)	30	146	67	25	54	263:212	159
27	რაპიდი (ვენა, ავსტრია)	36	159	63	32	64	244:223	158
28	ვალენსია (ესპანეთი)	23	129	61	32	36	232:163	154
29	ბრიუგე (ბელგია)	27	141	65	21	55	231:194	151
30	სტანდარდი (ლიეჟი, ბელგია)	24	124	62	21	41	212:154	145
31	გიოტებორგი (შვედეთი)	22	120	56	24	40	195:152	136
32	სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი)	31	138	50	36	52	189:199	136
33	ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია)	16	110	59	17	34	189:128	135
34	ცსკა (სოფია, ბულგარეთი)	36	140	55	24	61	208:209	134
35	ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	14	104	54	25	25	179:86	133
36	ტოტენჰემი (ინგლისი)	12	95	57	18	20	215:87	132
37	ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)	24	116	57	17	42	181:136	131
38	აინტრახტი (ფრანკფურტი, გერმანია)	18	105	55	18	32	206:119	128
39	კროაცია (ზაგრები, ხორვატია)	29	124	48	30	46	190:150	126
40	სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)	26	120	51	23	46	195:163	125
41	უიპეშტი (უნგრეთი)	28	125	52	21	52	216:196	125
42	დანდი იუნაიტედი (შოტლანდია)	22	102	45	26	31	160:102	116
43	აუსტრია (ვენა, ავსტრია)	30	122	42	31	49	178:184	115
44	ფიორენტინა (იტალია)	20	92	47	20	25	124:89	114
45	ბილბაო (ესპანეთი)	21	104	47	20	37	142:131	114
46	პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)	32	127	41	32	54	160:176	114
47	ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი)	35	115	45	24	46	148:170	114
48	გრასჰოპერი (შვეიცარია)	28	123	46	21	56	202:188	113
49	ბორდო (საფრანგეთი)	20	96	47	19	30	125:113	113
50	სარაგოსა (ესპანეთი)	14	91	50	12	29	171:117	112
51	ნაპოლი (იტალია)	20	95	41	28	26	114:96	110
52	გალათასარაი (თურქეთი)	28	121	41	28	52	148:190	110
53	დინამო (დრეზდენი, გდრ)	20	98	42	25	31	155:122	109
54	ლეგია (ვარშავა, პოლონეთი)	22	99	42	25	32	141:112	109
55	შტუტგარტი (გერმანია)	17	90	43	21	26	164:104	107
56	მონაკო (საფრანგეთი)	20	98	39	27	32	147:115	105
57	მარსელი (საფრანგეთი)	16	79	43	18	18	144:80	104
58	აბერდინი (შოტლანდია)	24	93	41	22	30	147:105	104
59	დუკლა (პრაღა, ჩეხეთი)	22	93	40	24	29	138:119	104
60	დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)	30	110	41	20	49	164:150	102
61	პსჟ (საფრანგეთი)	12	78	44	13	21	130:72	101
62	არსენალი (ლონდონი, ინგლისი)	14	83	40	20	23	147:80	100
63	ვერდერი (ბრემენი, გერმანია)	16	87	41	18	28	162:101	100
64	კარლ ცაისი (იენა, გდრ)	19	87	39	17	31	139:114	95
65	**დინამო (თბილისი, საქართველო)**	16	81	39	13	29	114:101	91
66	კიშპეშტ ჰონვედი (უნგრეთი)	21	86	41	9	36	149:138	91
67	მალმიო (შვედეთი)	30	97	34	23	40	122:132	91
68	ტორინო (იტალია)	17	81	34	21	26	114:83	89
69	პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია)	23	91	38	13	40	145:137	89
70	აეკ (ათენი, საბერძნეთი)	26	98	34	18	46	127:154	86
71	ჰიბერნიანი (ედინბურგი, შოტლანდია)	16	73	35	15	23	130:102	85
72	კაიზერსლაუტერნი (გერმანია)	14	74	38	8	28	137:95	84
73	დინამო (მოსკოვი, რუსეთი)	16	77	33	18	26	103:94	84
74	სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)	19	71	36	11	24	115:93	83
75	ჩელსი (ლონდონი, ინგლისი)	8	59	33	15	11	114:52	81

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი. I წრე

14.07	სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი)	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
	ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ტირანა (ალბანეთი)	(1,35-2,5)	1,5	3,3	6,0
	პარტიზანი (იუგოსლავია) — ფლორა (ესტონეთი)	(1,02-10,0)	1,05	8,0	14,0
	ბარი თაუნი (უელსი) — ვალეტა (მალტა)	(1,6-1,8)	1,7	3,3	4,0
	ლიტექსი (ბულგარეთი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)	(1,1-5,0)	1,15	5,6	10,0
	ჰაფნარი (ფარერები) — ჰაკა (ფინეთი)	(5,0-1,1)	4,4	3,1	1,7
	ჟენესი (ლუქსემბურგი) — სკონტო (ლატვია)	(5,0-1,1)	5,0	3,2	1,6
	სენტ პატრიკზი (ირლანდია) — ზიმბრუ (მოლდოვა)	(1,7-1,7)	1,8	3,0	4,0
	ჟალგირისი (ლიტვა) — ცემენტი (სომხეთი)	(1,35-2,5)	1,45	3,5	6,0

გერმანიის ლიგის თასი. ნახევარფინალი

14.07	ბაიერნი — დორტმუნდი	1,7	3,1	4,4

ავსტრიის ჩემპიონატი. III ტური

14.07	ბრეგენცი — შტურმი	5,0	3,2	1,6
	ტიროლი — რიდი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	გრაცერი — ლუსტენაუ	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ლინცერი — აუსტრია	2,4	2,9	2,6

შვეიცარიის ჩემპიონატი. II ტური

14.07	ბაზელი — ქსამაქსი	1,8	2,9	4,2

რუსეთის ჩემპიონატი. XVI ტური

14.07	ზენიტი — შინიკი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ნ. ნოვგოროდი — ჟემჩუჟინა	1,6	3,2	5,0
	ტორპედო — ლოკომოტივი	3,3	2,8	2,1
	როსტსელმაში — დინამო	2,1	2,8	3,3
	როტორი — კრილია სოვეტოვი	1,6	3,2	5,0
	ცსკა — ალანია	1,6	3,0	5,6
	სპარტაკი — ურალანი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	სატურნი — ჩერნომორეცი	1,9	2,9	3,6

შვედეთის ჩემპიონატი. XIV ტური

14.07	კალმარი — ჰამარბი	1,8	3,0	4,0

თურქეთი (ნეიტრალურზე)

14.07	ფენერბაჰჩე — ტრაბზონი	1,6	3,1	5,3
15.07	გალათასარაი — ბეშიქთაში	2,1	2,9	3,2

კოპა ამერიკა. ნახევარფინალი

14.07	ბრაზილია — მექსიკა	1,35	3,8	7,0

ქვეყნის ჩემპიონატები

გერმანია

ბაიერნი	1,3
დორტმუნდი	4,0
ლევერკუზენი	5,0
კაიზერსლაუტერნი	6,0
ჰერტა	8,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,4
არსენალი	3,5
ჩელსი	4,0
ლივერპული	6,0
ლიდსი	8,0

საფრანგეთი

მარსელი	2,0
ბორდო	3,0
მონაკო	3,0
პსჟ	4,0
ლიონი	6,0
ნანტი	8,0
ლანსი	8,0

იტალია

მილანი	2,5
ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
ლაციო	3,0
პარმა	5,0
ფიორენტინა	7,0
რომა	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	1,6
რეალი	2,3
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	7,0
დეპორტივო	8,0
სელტა	8,0
ბილბაო	8,0
მალიორკა	8,0
სოსიედადი	8,0

პორტუგალია

პორტუ	1,7
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	4,0
ბოავიშტა	8,0

ჰოლანდია

აიაქსი	2,0
ფეიენოორდი	2,5
ეინდჰოვენი	2,5

ბელგია

ბრიუგე	2,2
ანდერლეხტი	2,2
გენკი	3,0
სტანდარდი	8,0

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	2,0
პანათინაიკოსი	2,0
აეკ	3,0
პაოკ	8,0

ჩეხეთი

სპარტა	1,6
სლავია	2,3
სიგმა	8,0
ტეპლიტე	8,0
ბანიკი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,5
ლეგია	2,5
ვიძევი	4,0
ლეხი	8,0
პოლონია	8,0

უკრაინა

დინამო კიევი	1,1
შახტიორი	6,0
კარპატი	8,0
ტავრია	8,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფერენბაჰჩე	3,0
ბეშიქთაში	5,0
ტრაბზონი	7,0

შოტლანდია

რეინჯერსი	1,6
სელტიკი	2,3

ავსტრია

რაპიდი	1,8
შტურმი	2,0
ზალცბურგი	4,0
აუსტრია	5,0
გრაცერი	8,0

შვეიცარია

გრასჰოპერი	1,8
სერვეტი	3,0
ციურიხი	4,0
ლოზანა	5,0

დანია

ბრონდბიუ	2,0
კოპენჰაგენი	3,0
ოლბორგი	3,0
სილკებორგი	5,0
აკდემიკსი	5,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ევროლიგა 1999-2000

A ჯგუფი

შოლე (შოლე, საფრანგეთი)
ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია)
ცსკა (მოსკოვი, რუსეთი)
ბარსელონა (ბარსელონა, ესპანეთი)
პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი)
ბენეტონი (ტრევიზო, იტალია)

I ტური

23.09.1999	შოლე — ბენეტონი
23.09.1999	ცრვენა ზვეზდა — პაოკ
23.09.1999	ბარსელონა — ცსკა

II ტური

29.09.1999	პაოკ — შოლე
30.09.1999	ცსკა — ცრვენა ზვეზდა
30.09.1999	ბარსელონა — ბენეტონი

III ტური

06.10.1999	შოლე — ბარსელონა
06.10.1999	პაოკ — ცსკა
07.10.1999	ბენეტონი — ცრვენა ზვეზდა

IV ტური

20.10.1999	ცრვენა ზვეზდა — ბარსელონა
20.10.1999	ბენეტონი — პაოკ
21.10.1999	ცსკა — შოლე

V ტური

28.10.1999	ცსკა — ბენეტონი
28.10.1999	შოლე — ცრვენა ზვეზდა
28.10.1999	ბარსელონა — პაოკ

VI ტური

03.11.1999	ცსკა — ბარსელონა
03.11.1999	ბენეტონი — შოლე
04.11.1999	პაოკ — ცრვენა ზვეზდა

VII ტური

10.11.1999	შოლე — პაოკ
11.11.1999	ბენეტონი — ბარსელონა
11.11.1999	ცრვენა ზვეზდა — ცსკა

VIII ტური

17.11.1999	ცსკა — პაოკ
17.11.1999	ბარსელონა — შოლე
18.11.1999	ცრვენა ზვეზდა — ბენეტონი

IX ტური

08.12.1999	შოლე — ცსკა
08.12.1999	ბარსელონა — ცრვენა ზვეზდა
08.11.1999	პაოკ — ბენეტონი

X ტური

15.12.1999	პაოკ — ბარსელონა
16.12.1999	ცრვენა ზვეზდა — შოლე
16.12.1999	ბენეტონი — ცსკა

შოლე

ევროლიგის დებიუტანტის ღირსებას არცერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი კალათბურთელი არ იცავს. ევროლიტაში გარევამ კლუბის ხელმძღვანელობა გამოაფხიზლა და მან ახალ მოთამაშეებს დაუწყო ძებნა. შედარებით მწირი ბიუჯეტის გამო, „შოლე", ძირითადად, ფრანგულ ბაზარზე გამოფენილ პროდუქციას დასჯერდება. საეჭვოა, რომელიმე ძლიერმა და სახელოვანმა ლეგიონერმა მოისურვოს აქ თამაში. ფრანგული კლუბი ევროლიგის ერთ-ერთი უპირველესი აუტსაიდერია.

ცრვენა ზვეზდა

ბელგრადელებს არც შარშანდელ ევროლიგაში მოუწყვეტიათ ციდან ვარსკვლავები და, ალბათ, არც ამჯერად მოწყვეტენ. თუკი იუგოსლავიაზე დატეხილ ამბებს გავითვალისწინებთ, „ცრვენა ზვეზდა" იმითაც კმაყოფილი იქნება, თუკი ქვეყანას სამომავლო, 2000-01 წლების ევროლიგაში ადგილს შეუნარჩუნებს.

გუნდში მოვიდა იუგოსლავიის ნაკრების გამთამაშებელი საშა ობრადოვიჩი. მას ბევრი ქვეყნიდან ჰქონდა წინადადება, მაგრამ ახლახან გაკეთებული მუხლის ოპერაციის და არამყარი ფიზიკური მდგომარეობის გამო, სამშობლოში არჩია თამაში. თანაქალაქელი „პარტიზანიდან" „ცრვენა ზვეზდას" შეემატა ასევე იუგოსლავიის ნაკრების უკანახაზელი დრაგან ლუკოვსკი, ხოლო „ბუდუჩნოსტიდან" — ჟელკო ტოპალოვიჩი. სამაგიეროდ, „ბუდუჩნოსტში" შეიძლება გადავიდეს მსოფლიო ჩემპიონი მილენკო ტოპიჩი. მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქული „ეფესიდან" წამოსულ ცენტრ ზორან სავიჩთან.

ცსკა

რუსულ არმიაში მძვინვარე ფინანსური კრიზისი, მის პირმშოს, ექსსაბჭოური კალათბურთის ფლაგმანსაც ეტყობა. უფულობის გამო გუნდი სასურველი მოთამაშეების თამამად შერჩევას ვერ ახერხებს. არმიელებს არა ჰყავთ ნორმალური ცენტრი. ამ დანაკლისის აღმოსაფხვრელად ისინი ჩეხ გეორგ ზიდეკს, ლიტველ გინტარას ეინიკისს და ხორვატ ივან გრგატს უბამენ მოლაპარაკებებს. ლატვიელი გუნდარს ვეტრას წასვლის შემდეგ ვაკანსია უკანა ხაზშიც გაჩნდა, ამიტომ ცსკამ სარატოველ ძმებს, ევგენი და ზახარ პაშუტინებს დაადგა თვალი. თანაც, ძმების ტრანსფერი თურქულ „ქარშიაქაში" ჩაიშალა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ცსკამ შეიძლება მწვრთნელიც დაკარგოს: სალონიკის პაოკ სერიოზულადაა მოწადინებული სტანისლავ ერიომინის გადაბირებით. არადა, არმიელთა სიძლიერისა და წარმატების უპირველესი გარანტი სწორედ რომ ერიომინია.



სარგებელს არქივიდან

ალენ დიგბო ბარსელონელია

ბარსელონა

კორაჩის თასის ბოლო მფლობელი ევროლიგის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბია და წლეულს ამ შეჯიბრში გამარჯვებაზე აუცილებლად იფიქრებს. სერიოზული დანაკლისი ერთია — კლუბმა ვერ შეინარჩუნა იუგოსლავიელი გამთამაშებელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი, რომელსაც კონტრაქტი დაუმთავრდა. იუგოსლავიელის სანაცვლოდ „ბარსამ" ებრაელი ოდედ კატაში და ფრანგი ანტუან რიგოდო შეიგულა, მაგრამ ეს უკანასკნელნი თავიანთ სამომავლო გეგმებში ჯერ ხერიანადაც ვერ გარკვეულან. დანარჩენ რგოლებში სტაბილურობაა, გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელია. ერთი-ორი უმნიშვნელო შენაძენიც გაკეთებულია, მაგალითად, „ვილერბანიდან" ალენ დიგბო გადმოვიდა.

პაოკ

ორიოდ კვირის წინ ამ კლუბმა ყველაზე ხმაურიანი განცხადება გააკეთა, ახლა კი, შესაძლოა, მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდეს. თვის დასაწყისში სალონიკელებმა მწვრთნელობა შესთავაზეს ბობ ჰილს, კაცს, რომელიც მანამდე ერთულ საკალათბურთო ასოციაციაში „ვანკუვერ გრიზლიზს" წვრთნიდა. თითქოს ყველაფერზე შეთანხმდნენ, ჰილი მუშაობას უნდა შედგომოდა და სატრანსფერო პოლიტიკაც უნდა დაეწყო, მაგრამ, მოულოდნელად, კონტრაქტი აღარ მოეწონა და ამერიკაში გაბრუნდა. ბერძნებმა ხელახლა დაიწყეს მწვრთნელის ძებნა და რუსული ცსკა-ს დამრიგებელს სტანისლავ ერიომინს მიადგნენ. ძნელი სათქმელია, რას გადაწყვეტს რუსი, თანაც ერთხელ, 1996 წელს მან უკვე უთხრა უარი პაოკ-ს. ამასობაში, ახალი მოთამაშეების აყვანაზე არავინ ფიქრობს. ჯერჯერობით გუნდში ერთი სიახლეა — „არისიდან" გადმოვიდა საბერძნეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი და ჩვენი ირაკლი ბაქრაძის ყოფილი თანაგუნდელი დინოს ანგელიდისი.

ბენეტონი

საპორტას თასის შარშანდელ გამარჯვებულს ძალიან გაუჭირდება. არა იმიტომ, რომ ევროლიგა ძლიერია „ბენეტონის" მიერ მოგებულ თასზე, არამედ იმიტომ, რომ გუნდს აღარა ჰყავს ძველი მწვრთნელი და ლიდერი. იუგოსლავიელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ბერძნული „პანათინაიკოსის" გაწვრთნა ამჯობინა და თან სეხნია, ევროპის 1998 წლის საუკეთესო კალათბურთელი ჟელკო რებრაჩა წაიყვანა. ამ ორს ამერიკელი ჰენრი ვილიამსი და იტალიელი დავიდე ბონორაც მიჰყვნენ.

ობრადოვიჩის ადგილი იტალიური „რიმინის" მწვრთნელმა პიერლუიჯი ბუჩიმ დაიჭირა. გუნდი გაძლიერდა „ჟალგირისიდან" გადმოსული გამთამაშებლით ტაიუს ედნით. შეგახსენებთ, რომ ედნი შარშანდელი ევროლიგის „ოთხთა ფინალის" უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს. იმასაც ამბობენ, „ბენეტონს" მაკედონიელი ვარსკვლავის, „ეფესიდან" წამოსული პეტარ ნაუმოსკის ყიდვა უნდაო. თუმცა, მხოლოდ ამბობენ.

B ჯგუფი

ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა)
ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია)
ალბა (ბერლინი, გერმანია)
თოფაში (ბურსა, თურქეთი)
რეალი (მადრიდი, ესპანეთი)
პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)

I ტური

23.09.1999	ჟალგირისი — პანათინაიკოსი
23.09.1999	ოლიმპია — რეალი
23.09.1999	თოფაში — ალბა

II ტური

30.09.1999	ალბა — ოლიმპია
30.09.1999	რეალი — ჟალგირისი
30.09.1999	თოფაში — პანათინაიკოსი

III ტური

07.10.1999	ჟალგირისი — თოფაში
07.10.1999	რეალი — ალბა
07.10.1999	პანათინაიკოსი — ოლიმპია

IV ტური

20.10.1999	ალბა — ჟალგირისი
21.10.1999	ოლიმპია — თოფაში
21.10.1999	პანათინაიკოსი — რეალი

V ტური

27.10.1999	ალბა — პანათინაიკოსი
28.10.1999	ჟალგირისი — ოლიმპია
28.10.1999	თოფაში — რეალი

VI ტური

04.11.1999	ალბა — თოფაში
04.11.1999	რეალი — ოლიმპია
04.11.1999	პანათინაიკოსი — ჟალგირისი

VII ტური

11.11.1999	ჟალგირისი — რეალი
11.11.1999	ოლიმპია — ალბა
11.11.1999	პანათინაიკოსი — თოფაში

VIII ტური

18.11.1999	ალბა — რეალი
18.11.1999	თოფაში — ჟალგირისი
18.11.1999	ოლიმპია — პანათინაიკოსი

IX ტური

09.12.1999	ჟალგირისი — ალბა
09.12.1999	თოფაში — ოლიმპია
09.12.1999	რეალი — პანათინაიკოსი

X ტური

16.12.1999	ოლიმპია — ჟალგირისი
16.12.1999	რეალი — თოფაში
16.12.1999	პანათინაიკოსი — ალბა

ჟალგირისი

მოიგო თუ არა „ჟალგირისმა" შარშანდელი ევროლიგა, წამსვე მთხოვნელები მეესივნენ და შემადგენლობა დაუცარიელეს. ჩემპიონთაგან გუნდში ოთხი კაციღა დარჩა: ძმები ჟუკაუსკასები, მასიულისი და შესტოკასი. წასული მოთამაშეები კი ყველა მხარეს გაიფანტნენ: ზოგნი — იტალიაში, ზოგნი — პოლონეთში და ა.შ. ლიტვურმა კლუბმა ვერ შეინარჩუნა შარშანდელი ევროლიგის „ოთხთა ფინალის" უძვირფასესი მოთამაშე ტაიუს ედნი — იგი იტალიურ „ბენეტონში" წავიდა. თავად კლუბმა აღარ განუახლა კონტრაქტები ჩეხ ცენტრს გეორგ ზიდეკს და ამერიკელ ფორვარდ ენტონი ბოუის. სხვადასხვა ლიტვური გუნდებიდან „ჟალგირისში" რამდენიმე მოთამაშე მოვიდა. კლუბი ეძებს რიგიან ცენტრს, რადგან უსახური ეურელიუს ჟუკაუსკასი მარტო ვერაფერს გააკეთებს. ეს კი „ჟალგირისს" აუცილებლად დაუჯდება ტიტულის დაკარგვად.

ოლიმპია

ვლადიმერ სტეფანიას ყოფილმა კლუბმა, პრაქტიკულად, მთლიანად გამოცვალა შარშანდელი შემადგენლობა. კლუბმა რეკორდი დაამყარა: 8 ახალი უცხოელი აიყვანა, მათგან 6 ხორვატი და თითო ლიტველი და მალელი. ხორვატიის „ზადარიდან" მოსული ემილიო კოვაჩიჩი ცენტრზე მარიან კრალევიჩს შეცვლის, ორი ხორვატი კი ფორვარდია — იურიცა გოლემაცი და ჩვენი დავით ბერძენიშვილის ყოფილი თანაკლუბელი სლოვაკურ „სლოვაკოფარმაში" გორდან ზადრავეცი.

ევროპის ჩემპიონატზე თავგამოჩენილი ჯელელი ლიტველი გამთამაშებელი შარუნას იასიკევიჩუსი თელ ავივის „მაკაბიში" გადასული ამერიკელი არიელ მაკდონალდის შემცვლელი გახდა. სამ ხორვატ კალათბურთელს კი ჯიბეში მეორე სლოვენიური პასპორტიც უდევთ, ესენი გახლავან სტიპე მოდრიჩი, მილოშ პარავინია და დამირ მილაჩიჩი. შიდასლოვენიური ტრანსფერებიდან აღსანიშნავია „ოლიმპიას" მიერ „პივოვარნადან" 17 წლის სანი ბეჩიროვიჩის გადაბირება. ამ ნორჩმა კალათბურთელმა ევროპის ჩემპიონატზე კარგად ითამაშა. რაც შეეხება მალელ სუმაილა სამაკეს, იგი ჯერჯერობით მხოლოდ 214-სანტიმეტრიანი ტანით გამოირჩევა.

ერთვნული გიგანტომაქია

ბერლინური კლუბი ბუნდესლიგაში კი ყოჩაღობს, მაგრამ ევროლიგაში დიდი ვერაფერი ხვითოა. წლეულსაც, ალბათ, ასე იქნება, თანაც „ალბა" დატოვა მთავარმა მწვრთნელმა სვეტოსლავ პეშიჩმა, რომელსაც კონტრაქტი დაუმთავრდა.

თოფაში

პროვინციული ბურსას გუნდმა „თოფაშმა" თურქეთის ჩემპიონატში სასწაული მოახდინა: არათუ გაუძლო სტამბოლის გუნდების კონკურენციას, არამედ ისინი ზედიზედ დაიფრინა და ფინალში თვით „ეფესს" მოუგო 3:2. მიუხედავად ამისა, საეჭვოა, „თოფაშმა" ევროლიგაში რამე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს. ბურსელებმა შეინარჩუნეს დამკვრელი სამეული — თურქეთის პასპორტიანმა ამერიკელებმა დევიდ რივერსმა და რაშად გრიფიტმა, აგრეთვე ხორვატმა სლავენ რიმაცმა კონტრაქტები განაახლეს. „თოფაში" „ულქერიდან" აპირებს თურქეთის ნაკრების წევრის ჰალუკ ილდირიმის გადმოყვანას.

რეალი

ესპანურმა სამეფო კლუბმა მწვრთნელი შეცვალა: კლიფ ლიუკი გენერალური მენეჯერის საგარძელში გადაბრძანდა, ხოლო მისი ადგილი ესპანური „ტაუგრესიდან" მოსულმა იტალიელმა სერჯო სკარიოლომ დაიკავა. მადრიდელებმა შემადგენლობის განახლება დაიწყეს. კონტრაქტი მხოლოდ ოთხ კალათბურთელს აქვს გაფორმებული, მათ შორის ევროპის ჩემპიონატის გმირს ალბერტო ერერასს და ბელგიელ ერიკ სტრიიულენსს. შესაძლებელია, რომ სტრიულენსი ნბაში წავიდეს სათამაშოდ.

თავდაპირველად „რეალი" ალექსანდრ ჯორჯევიჩის შეძენით დაინტერესდა, მაგრამ სკარიოლომ ეს წინადადება შორს დაჭირა. ჩაიშალა მოლაპარაკება იტალიელ ალესანდრო დე პოლთან, ასე რომ, სამეფო კლუბს მოთამაშეების ძებნა უფრო ყურადღებით მართებს.

პანათინაიკოსი

ბერძნულმა კლუბმა ორი ძლიერი მოთამაშე დაკარგა — ხორვატი ცენტრი დინო რაჯა და ფორვარდი ნიკოს ეკონომუ. მიუხედავად ამისა, ათენელებს თავში ხელის საცემად მაინც არ ექნებათ საქმე, რადგან წასულები, თუ უფრო ღირსეულმა არა, მათი დონის მოთამაშეებმა მაინც შეცვალეს.

რაჯას ადგილს იუგოსლავიელი, ევროპის 1998 წლის საუკეთესო კალათბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი ჟელკო რებრაჩა დაიკავებს. ეკონომუს სანაცვლოდ კი გაირჯება იტალიელი გრეგორ ფუჩკა, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და ამ შეჯიბრების უძვირფასესი მოთამაშე. ახალ მწვრთნელზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს — იუგოსლავიის ნაკრების დამრიგებელზე ჟელკო ობრადოვიჩზე რამე აღმატებულის თქმა ხომ მხოლოდ დროის ფუჭი კარგვაა. „პანათინაიკოსში" დარჩა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე, იუგოსლავიელი უნივერსალი დეიან ბოდიროგა. ერთი სიტყვით, შარშანდელის დარად, „პანათინაიკოსი" კვლავ რჩება ევროლიგის მოგების უპირველეს კანდიდატად.



სარგებელს არქივიდან

დეიან ბოდიროგა „პანათინაიკოსში" დარჩა

ევროლიგა 1999-2000

C ჯგუფი

ულქერი (სტამბოლი, თურქეთი)
პივოვარნა (ლასკო, სლოვენია)
მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი)
ვარეზე (ვარეზე, იტალია)
ვილერბანი (ვილერბანი, საფრანგეთი)

I ტური

22.09.1999	პივოვარნა — ვარეზე
23.09.1999	ულქერი — ვილერბანი
23.09.1999	ოლიმპიაკოსი — მაკაბი

II ტური

30.09.1999	ვარეზე — ულქერი
30.09.1999	მაკაბი — პივოვარნა
30.09.1999	ოლიმპიაკოსი — ვილერბანი

III ტური

07.10.1999	ულქერი — ოლიმპიაკოსი
07.10.1999	ვილერბანი — პივოვარნა
07.10.1999	ვარეზე — მაკაბი

IV ტური

20.10.1999	პივოვარნა — ოლიმპიაკოსი
21.10.1999	ვილერბანი — ვარეზე
21.10.1999	მაკაბი — ულქერი

V ტური

28.10.1999	ულქერი — პივოვარნა
28.10.1999	მაკაბი — ვილერბანი
28.10.1999	ოლიმპიაკოსი — ვარეზე

VI ტური

03.11.1999	ვარეზე — პივოვარნა
04.11.1999	ვილერბანი — ულქერი
04.11.1999	მაკაბი — ოლიმპიაკოსი

VII ტური

10.11.1999	ვილერბანი — ოლიმპიაკოსი
11.11.1999	ულქერი — ვარეზე
11.11.1999	პივოვარნა — მაკაბი

VIII ტური

17.11.1999	პივოვარნა — ვილერბანი
18.11.1999	მაკაბი — ვარეზე
18.11.1999	ოლიმპიაკოსი — ულქერი

IX ტური

09.12.1999	ულქერი — მაკაბი
09.12.1999	ვარეზე — ვილერბანი
09.12.1999	ოლიმპიაკოსი — პივოვარნა

X ტური

15.12.1999	ვარეზე — ოლიმპიაკოსი
16.12.1999	პივოვარნა — ულქერი
16.12.1999	ვილერბანი — მაკაბი

ულქერი

თურქული შოკოლადისა და ტკბილეულის მწარმოებელი კონცერნის გუნდმა, ეტყობა, დიდი ფული იშოვა და ახალ-ახალი ხალხის შეძენას ეშურება. სტამბოლელებს გამთამაშებლის პრობლემა აქვთ, რადგან ამერიკელ მაიკლ ანდერსონს კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს. მის შემცვლელად კი მაკედონიელი პეტარ ნაუმოსკი ან რუსი არმიელი ვასილი კარასიოვი ეგულებათ. ნაუმოსკი უგუნდოდაა და შემოთავაზებული წინადადებებიდან ყველაზე ხელსაყრელის ამორჩევაზე ფიქრობს, ხოლო კარასიოვს ცსკა არ უშვებს.

მანამდე „ულქერმა" ქმალ თუნჩერი „გალათასარაიში" გაუშვა, იქიდან კი თეომან ოზთურქი მიიღო. „ულქერში" გადმოსასვლელად ემზადება ფენერბაჰჩელი იბრაჰიმ ქუთლუაი, რომელსაც, ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, წელიწადში ორ მილიონ დოლარს ჰპირდებიან. ამასთანავე, „თოფაში" ჰალუკ ილდირიმს სთხოვს „ულქერს", სანაცვლოდ კი ვის სთავაზობს, უცნობია.

პივოვარნა

ამ გუნდის ევროლიგაში აღზევების საქმეში წვლილი ვლადიმერ სტეფანიასაც მიუძღვის. საქმე ის გახლავთ, რომ სლოვენიამ ევროლიგაში დამატებითი ადგილი ლიუბლიანის „ოლიმპიას" მიერ მოპოვებული მაღალი რეიტინგის წყალობით მიიღო. მაშინ კი, როცა „ოლიმპია" სარეიტინგო ქულებს აგროვებდა, სტეფანია მისი ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

თუმცა, „პივოვარნამ", შეიძლება სულ წყალში გადაყაროს „ოლიმპიას" გარჯა და სლოვენიას მეორე საევროლიგო საგზური დაკარგვინოს. ეს გუნდი ჯგუფში ბოლო ადგილზე გასვლის რეალური კანდიდატია, ხოლო ქვეყანა, რომლის წარმომადგენელიც ამგვარ „წარმატებას" მიაღწევს, მომავალ ევროლიგაში ავტომატურად კარგავს ადგილს.

მაკაბი

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, პრაქტიკულმა ებრაელებმა თავიანთი საუკეთესო მოთამაშე ოდედ



სარგებელის არქივიდან

„მაკაბიდან" წასული ოდედ კატაში გადაბირების მსურველი არ ილევა

კატაში ტრანსფერზე დააყენეს. ამ კაცის მსურველი იმდენია, რომ თავად მასაც კი თავგზა აებნა შემოთავაზებული წინადადებების სიმრავლისგან. მისი შემცვლელი კი უკვე ცნობილია — ყოფილი ლიუბლიანის ოლიმპიელი, ამერიკელი არიელ მაკდონალდი. გუნდიდან თავისუფალია ცენტრი ვიქტორ ალექსანდრიც, თუმცა ვინ ითამაშებს მის ადგილას, მაკაბელებს ჯერ ვერ აურჩევიათ.

ოლიმპიაკოსი

პირეოსელებს სახელგანთქმული მწვრთნელი ჰყავდათ, იუგოსლავიელი დუშან ივკოვიჩი. ბოლო ორ სეზონში კლუბმა ღირებულს ვერაფერს მიაღწია და ეს ღვაწლმოსილი კაცი გაათავისუფლეს. გუნდი ბერძენთაგან ყველაზე გამოჩენილმა მწვრთნელმა იანის იოანიდისმა ჩაიბარა და პირველი რაც განაცხადა, იუგოსლავიელებთან არ ვიმუშავებო. ასე ჩაიშალა „ოლიმპიაკოსში" ალექსანდრ ჯორჯევიჩის გადასვლის საქმე. თუმცა, იოანიდისს კიდევ დარჩა გუნდში იუგოსლავიელები — დრაგან ტარლაჩი და დუშინ ვუკჩევიჩი. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანს ბერძნული პასპორტიც აქვს.

ღიადაა ხორვატი არიან კომაზეცისა და ამერიკელი ენტონი გოლდვაიერის საკითხი. მათ ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, დარჩნენ თუ არა პირეოსში. ბერძნებმა კი სეზონებს შორის ერთი კაცი უკვე შეიძინეს — ამერიკელი ფორვარდი ჯოშუა გრანტი.

ვარეზე

იტალიის ჩემპიონსა და ქვეყნის ნაკრების საბაზო კლუბს წინა ხაზში პრობლემები შეექმნება. კონტრაქტი დაუმთავრდა გუნდის ბომბარდირს, ხორვატ ველკო მრშიჩს. „ტიმსისტემისგან" ნათხოვარი ჯაკომო გალანდა პატრონს დაუბრუნდა, ისევე, როგორც „სტეფანელმა" დაიბრუნა თავის ალესანდრო დე პოლი. ვარეზელები მძლავრი უკანა ხაზის, პოცეკო-მენეგინის იმედად დარჩნენ, თუმცა, წინ კიდევ ორი თვეა და ვის გადაიბირებენ იტალიელები, არავინ უწყის.

ვილერბანი

ფრანგული კლუბი შარშანდელი ევროლიგის მეოთხედფინალისტია, თუმცა, საეჭვოა, რომ იგივეს ამ გათამაშებაშიც მიაღწიოს. „ვილერბანს" რეალურად ემუქრება სამი წამყვანი მოთამაშის დაკარგვის საფრთხე: ალენ დიგბო „ბარსელონაში" გადავიდა, ჯიმ ბილბა — იტალიურ „კინდერს" ელაპარაკება, ხოლო ამერიკელმა გამთამაშებელმა დელანი რადმა თქვა, მწვრთნელობა უნდა დავიწყოო. გამთამაშებლად სხვა ამერიკელი, ქის ჯენინგსი შეიგულეს, მაგრამ კონტრაქტი არ შედგა. ჯერჯერობით „ვილერბანში" უცნობი მოთამაშეები მიდი-მოდიან.

D ჯგუფი

კახა სან ფერნანდო (სევილია, ესპანეთი)
ბუდუჩნოსტი (პოდგორიცა, იუგოსლავია)
ციბონა (ზაგრები, ხორვატია)
ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია)
პო ორტეზი (პო, საფრანგეთი)
ეფესი (სტამბოლი, თურქეთი)

I ტური

22.09.1999	ბუდუჩნოსტი — პო ორტეზი
23.09.1999	კახა სან ფერნანდო — ეფესი
23.09.1999	ტიმსისტემი — ციბონა

II ტური

29.09.1999	ტიმსისტემი — ეფესი
30.09.1999	პო ორტეზი — კახა სან ფერნანდო
30.09.1999	ციბონა — ბუდუჩნოსტი

III ტური

06.10.1999	ეფესი — ბუდუჩნოსტი
07.10.1999	კახა სან ფერნანდო — ტიმსისტემი
07.10.1999	პო ორტეზი — ციბონა

IV ტური

20.10.1999	ეფესი — პო ორტეზი
20.10.1999	ბუდუჩნოსტი — ტიმსისტემი
21.10.1999	ციბონა — კახა სან ფერნანდო

V ტური

27.10.1999	ციბონა — ეფესი
27.10.1999	ტიმსისტემი — პო ორტეზი
28.10.1999	კახა სან ფერნანდო — ბუდუჩნოსტი

VI ტური

03.11.1999	პო ორტეზი — ბუდუჩნოსტი
04.11.1999	ეფესი — კახა სან ფერნანდო
04.11.1999	ციბონა — ტიმსისტემი

VII ტური

10.11.1999	ეფესი — ტიმსისტემი
10.11.1999	ბუდუჩნოსტი — ციბონა
11.11.1999	კახა სან ფერნანდო — პო ორტეზი

VIII ტური

17.11.1999	ბუდუჩნოსტი — ეფესი
18.11.1999	ტიმსისტემი — კახა სან ფერნანდო
18.11.1999	ციბონა — პო ორტეზი

IX ტური

08.12.1999	ტიმსისტემი — ბუდუჩნოსტი
08.12.1999	პო ორტეზი — ეფესი
09.12.1999	კახა სან ფერნანდო — ციბონა

X ტური

15.12.1999	ეფესი — ციბონა
15.12.1999	პო ორტეზი — ტიმსისტემი
16.12.1999	ბუდუჩნოსტი — კახა სან ფერნანდო

კახა სან ფერნანდო

სევილიელები ორი წლის წინ იყვნენ ევროლიგაში, მაგრამ მერე და მერე საქმეები ისე აეწეწათ, რომ საერთოდ ევროთასებს მიღმა დარჩნენ. ერთმხრივ, ეს ამბავი გუნდს წაადგა — „კახა სან ფერნანდო" მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატით იყო დაკავებული და მთელ ძალებს „ბარსელონასთან" და „რეალთან" ჭიდილს ახმარდა. ასე იყო თუ ისე, გამოცდილი მწვრთნელის ხავიერ იმბროდას მეთაურობით გუნდი კვლავ ევრლიგაშია.

„კახა სან ფერნანდოს" შემადგენლობა, პრაქტიკულად, უცვლელი დარჩა. გუნდის ლიდერია ამერიკელი გამთამაშებელი ენდრიუ ტერნერი. ახლახან „კახა სან ფერნანდოში" ბადალონის „ხუვენტუდიდან" გადავიდა ევროპის ვიცეჩემპიონი ივან კორალესი.

ბუდუჩნოსტი

მეხსიერების დაძაბვა არ დაგვჭირდება, ისე მოგვაგონდება, რომ ეს გუნდი 1996 წელს თბილისში იყო და ევროპის საკლუბო თასზე „ვითასთან" განადგურდა. მაგრამ რად გინდა? მას შემდეგ საქართველო აღმავლობის გზაზეა და „ვითა" საერთოდ ევროპის მიღმა დარჩა, ხოლო იუგოსლავია დაიქცა, მაგრამ ევროლიგაში ორი გუნდი ჰყავს, ერთ-ერთი — ოდესღაც ქართველებისგან ძლეული.

„ბუდუჩნოსტი" შარშან საპორტას თასის მოგებას ცდილობდა, მაგრამ იუგოსლავიის დაბომბვის გამო განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი „ბენეტონთან" ვეღარ ითამაშა და ფინალშიც იტალიელები გავიდნენ. იუგოსლავიის ჩემპიონატიც არ დასრულებულა, იგივე დაბომბვის გამო შეწყდა. „ბუდუჩნოსტი" შეწყვეტის მომენტში ლიდერობდა და, ამიტომ, ჩემპიონად გამოცხადდა.

პოდგორიცელებმა „ცრვენა ზვეზდაში" გაუშვეს ჟელკო ტომალოვიჩი, იქიდან კი მილენკო ტოპიჩს მიიღებენ. ბელგრადიდანვე, ოღონდ „პარტიზანიდან" „ბუდუჩნოსტში" ჩამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონი, ფორვარდი დეიან ტომაშევიჩი და უკანახაზელი ჰარის ბრკიჩი. არის კიდევ რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის შენაძენი, თუმცა, „ბუდუჩნოსტს" მაინც ძალიან გაუჭირდება.

ციბონა

ადრე ასე იყო, წამყვანი ტრანსფერი ხორვატი მოთამაშე, მშობლიურ გუნდს მიატოვებდა და ევროპას მიაშურებდა. ახლა დროება შეიცვალა: ევროპაში დაღვინებულმა ხორვატმა კალათბურთელებმა შინისკენ იწყეს დენა. „ციბონას" ორი ასეთი უკვე ჰყავს, ოღონდ ორივე თურქული კლუბიდან დაბრუნდა: ივიცა ჟურიჩი „კომბასანიდან", ხოლო დავორ პეიჩინოვიჩი — „კუსადაჩიდან". რაიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერის განხორციელება მოსალოდნელი არ არის. „ციბონას" მიზანი კვლავინდებურად ევროლიგაში. ხორვატიისთვის ადგილის შენარჩუნება იქნება.

ტიმსისტემი

ევროლიგის შარშანდელი „ოთხთა ფინალის" მონაწილემ ორი წამყვანი მოთამაშე უკვე დაკარგა: ხორვატი უკანახაზელი დამირ მულაომეროვიჩი „ეფესში" წავიდა, ხოლო გრეგორ ფუჩკა — „პანათინაიკოსში". ძალზე სარფიანი წინადადებები აქვს გუნდის და იტალიის ნაკრების ლიდერს კარლტონ მაიერსს. განსაკუთრებით ბერძნული კლუბები აქტიურობენ.

ბოლონიელებს ყოფილი მაკაბელების ოდედ კატაშისა და ვიქტორ ალექსანდერის გადმოყვანა სურთ. არც „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ხორვატ ცენტრ სტოიან ვრანკოვიჩთან დაწყებულ მოლაპარაკებებს უარობენ. ერთი სიტყვით, „ტიმსისტემი" ნაღდ ვაჭრობას ახლა იწყებს და ევროლიგის დაწყებისთვის, როგორც ყოველთვის, ყველაფერი წესრიგში ექნება.

პო ორტეზი

საკმარისი იყო, უნგრელ ცენტრს რობერტ გულიაშს ევროპის ჩემპიონატზე თავი გამოეჩინა, რომ წამსვე მყიდველთა რიგი დაუდგა. ყველას ფრანგულმა „პო ორტეზმა" აჯობა და ახლა უნგრელის გამოყენებით ევროლიგის მწვერვალებს შეუტევს. გუნდმა შეიძატა სფრანგეთის ნაკრების წევრი, „პარი სენ ჟერმენის" ყოფილი მოთამაშე სტეფან რისაშე. დანაკარგებიცაა — ჯოშუა გრანტი „ოლიმპიაკოსში" წავიდა, ლორან ფუარე — ესპანურ „ტაუგრესში", ხოლო დუეინ სხოლტენი — „ლე მანში".

ეფესი

ავანტიურისტული და, იქნებ, უგუნური სატრანსფერო პოლიტიკა შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს თურქეთის ყველაზე სოლიდური კლუბისთვის. სტამბოლის ლუდის ქარხნის გუნდმა აღარ გაუგრძელა კონტრაქტები მაკედონიელ პეტარ ნაუმოსკის („უდავოდ „ეფესის" უძლიერეს მოთამაშეს), იუგოსვიელებს პრედრაგ დრობნიაკსა და ზორან სავიჩს, თურქებს მურათ ვლიაოღლუს და ვოლქან აიდინს. ჰაერშია გამოკიდებული თურქი ვარსკვლავი მირსად თურქჯანიც, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება წავიდეს ნბა-ში. ამჟამად თურქჯანი „ნიუ იორკ ნიქსის" საკუთრებაა.

სამაგიეროდ, „ეფესში" იტალიური „ტიმსისტემიდან" გადმოვიდა ხორვატი უკანახაზელი დამირ მულაომეროვიჩი. ესპანური „კანტაბრიადან" ამერიკელი მარკ ჯეკსონი მოვიდა. სტამბოლელებმა მილიონი დოლარი ჩაუთვალეს იზმირის „ქარშიაქს", რათა 20 წლის არდა ვექილოღლუ თავიანთ რიგებში ჰყოლოდათ. ეს ვექილოღლუ თურქეთის ნაკრების კანდიდატია, პერსპექტიული ყმაწვილია, მაგრამ „ეფესიდან" დათხოვნილ ნებისმიერ კალათბურთელთან მისი შედარებაც კი უხერხულია.



სარგებელის არქივიდან

დეიან ტომაშევიჩი „ბუდუჩნოსტს" გააძლიერებს

პირქვედამხობილის ჩანაწერები

აქაც რუსები

აქამდე ჩვენი ქვეყნის ეოკ-ის ხელმძღვანელობით ყველა სპორტულ ღონისძიებაზე მიმავალი გზა, პირდაპირი მნიშვნელობით, მოსკოვზე გადიოდა. ახლა, პირველად სეოკ-ის ათწლიან ისტორიაში, ეს გზა მოსკოვს ასცდა. ეს არც ამ ქალაქისა თუ ჩვენი ყოფილი „უფროსი ძმისადმი“ გულის გაცივებით აიხსნება და არც სხვა რამ პოლიტიკური დემარშით. მიზეზი მეტად პროზაულია — ფრანკფურტში 4-საათიანი გადაფრენა, იქიდან ესბერგამდე ავტობუსით 11-საათიანი მგზავრობა უფრო იაფი დაჯდებაო.

ასე კი ვიმგზავრეთ, მაგრამ ჩვენს ყოფილ „უფროს ძმას“ მაინც ვერ ავცდით. ფრანკფურტის აეროპორტში ავტობუსი დავუხვდა, მისი მძღოლები გერმანიაში მომუშავე რუსები აღმოჩნდნენ. მაგრამ, ეტყობა, ეს ახალგაზრდა მძღოლები იყვნენ ის რუსები, რომლებიც თავიანთ თავს ახალ რუსებს უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, გვეჩვენა, რომ „სხვაგვარად აზროვნებენ“ და ისიც გვითხრეს, პირდაპირ სახელებით მოგვმართეთ, ყოველგვარი „იჩების“ გარეშეო.

ასე იყო თუ ისე, ნახევარი გერმანიის გადავლამდე ავტობუსში რუსული სული ტრიალებდა, რაკიღა მძღოლებმა დროის მოსაკლავად რუსული ფილმების ცქერა შემოგვთავაზეს და ჩვენც ზრდილობის გამო დავთანხმდით, თუმც, „ახალ რუსებზე“ ფილმები ცუდი როდი გამოდგა, მაგრამ ამან დაღლისგან მაინც ვერ გვიხსნა, რადგან ესბერგში მთელი ღამის უძინარნი გამთენიისას ჩავედით, იქიდან კი კუნძულ ფანიოზე ბორნით გადავედით.

ჩემი თავგადასავალიო, კი ვამბობ, მაგრამ ამ სიტყვებში სხვათა თავგადასავალსაც ვგულისხმობ, რადგან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებიც ევროპის ახალგაზრდობის V ოლიმპიურ დღეებზე წამოვედით, ყველანი მეტ-ნაკლებად ერთ ტაფაში ვიხრაკებით, მაგრამ ვიდრე ამ ტაფაზე თუ კუნძულის ამბებზე გიამბობდეთ, რამდენიმე სიტყვით თბილისიდან მგზავრობაზე მოგითხრობთ, მით უფრო, თავად შეჯიბრებებზე ჯერ სათქმელი ბევრი არაფერი გვაქვს. ის ამბავი კი, რომელზეც ლაპარაკს ახლა ვაპირებთ, მეორეხარისხოვანი და უინტერესო ალბათ არ უნდა იყოს, რაკიღა ეს ყველაფერი ერთი დიდი ჯაჭვის პატარა რგოლებია.

ოღონდაც, თუ ცოტა ავურიე და დალაგებულად ვერ გიამბეთ, ნუ დამძრახავთ, რადგან ამ წერილს იატაკზე პირქვედამხობილი ვწერ

ფანიო

„ეს არის კუნძული — მარგალიტი ზღვაში. თუ ბაიდარებით ჩრდილოეთის ზღვის მიმართულებით გაცურავ და ისარგებლებ მთელს დანიაში განთქმული აქაური პლაჟებით, გამაოგნებელი, ბუნებრივი გარესამყაროთი, ძველ საზღვაო კაპიტნების მომხიბლავი კოტეჯებითა და გამოცდილი, სანაქებო მომსახურებით, მაშინ კუნძული ფანიო სასწაულებრივ განცდებს გპირდებათ“.

ეს და სხვაც მრავალი ჯერ კიდევ აქ გამომგზავრებამდე დანიური სარეკლამო პროსპექტებიდან ამოვიკითხეთ. მართლაც, ფანიოზე „ძველი საზღვაო კაპიტნების მომხიბლავ კოტეჯებში“ დაბინავებულთ „სასწაულებრივი განცდები“ დაგვეუფლა. ოღონდაც, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის წარმომადგენლის თამრიკო ბალავაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, აქ თავს ისე ვგრძნობთ, როგორც... რეზერვაციაში... ამგვარ გრძნობას კი ჩვენი „კაპიტნის“ კოტეჯები იწვევს.

სახლი — თავგადასავალი

ეს მანსარდიანი კოტეჯები ორსართულიანია. ისეთია, რომლებიც გარედან მტერს გაუხეთქავს გულს, შიგნიდან კი მოყვარეს. ჰოდა, ჩვენც დავდივართ გულგახეთქილები.

ისე, აუგს პირველ სართულზე ვერ ვიტყვით. ეს ერთდროულად არის ფოიეც, მისაღებიც და სამზარეულოც, აღჭურვილი ნაირგვარი ჯამ-ჭურჭლით, ქვაბებით და ტაფებით. აქვე გვაქვს ტელევიზორიცა და მუსიკალური ცენტრიც.

ახლა მეორე სართულზე ავიხედოთ. იქ ორი საძილე ოთახია, ორივე ერთი ციცქნა. ერთ ოთახში ერთი ორსართულიანი საწოლია. საწოლის პირველ სართულზე წელში მოხრილიც ვერ ჩამოჯდები, რადგან მხრებით ზედა საწოლის ძირს მიებჯინები. საწოლში მოკუნტულმა თუ ღამის სიბნელეში თავი ოდნავ წამოწიე, უთუოდ ჭერს რეკავ. ამ სწოლზე კი ჩვენი ძიუდოისტები, 81-კილოგრამიანი მინდია ბოდაველი და 90 კილოგრამიანი ჯაბა გოგიშვილი იტანჯებიან.

ამ ოთახის კედლებს ამშვენებს ნახატები, რომლებიდანაც ცირკის მასხარები, დათუნიები და მელაკუდები შემოგვცინიან.

ერთი სიტყვით, ეს ოთახი ათწლამდე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. მეორე ოთახი კი მათი მშობლებისთვის, რომელთათვისაც რაღაც არაბული ტახტის მსგავსი რამ დაუდგამთ, ოღონდ ამ საწოლის ამჟამინდელი პატრონი, ჩვენი ძიუდოისტი, მძიმეწონოსანი ზვიად ხინჯალიაშვილი მაინც ვერ გაიმართებოდა.

და ბოლოს მანსარდა, სადაც კედელზე მიდგმული უვიწროესი კიბით დიდი გაჭირვებით უნდა ახვიდე, მაგრამ იქ ასული იმის დანიშნულებას ვერაფრით გაიგებ — ციცაბო სახურავი პირდაპირ იატაკზე ჩამოდის, იმ იატაკზე ორი ხელი ლოგინია, საწოლს კი, ორს ვინ ჩივის, ერთიც ვერ დაეტევა. ჰოდა, ვწევართ ახლა ამ იატაკზე ორნი — კიბიდან ამოსაძრომის გადაღმა ძიუდოისტთა მსაჯი ზურაბ კახაბრიშვილი, ამოსაძრომის გადმოღმა კი თქვენი მონა-მორჩილი, ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც ახლა პირქვედამხობილი, პირდაპირ იატაკზე გაჭირვებით წერს. მაგრამ ჩემი გასაჭირი რა მოსატანია ზურაბის საცოდაობასთან. ეს 104-კილოგრამიანი, „ცაცა“ ჯერ იმ კიბეზე რომ მიბობღავს, მრჩეთ თვალებს ეჭუჭავ, ემანდ ჩხირივით საფეხურები არ ჩაუტეხეს ან სულაც ცაბა ბალერინასავ მოწყვეტ-ძეთეი. ამ ხიფათის გადალახვილი იმ ამოსაძრომში რომ სანახევროდ ამობობღდება, მერე მოაჯირს ცალ ფეხს დიდი ჯაფით გადააბღოტებს ხოლმე და სულის მოსათქმელად ცხენზე გადამჯდარ-გაწოლილივით ისვენებს. თან ამ დროს ცხენსა, უკაცრავად, მოაჯირსა და სახურავს შორის პალოსავითაა გაჭედილი. ბოლოს, უკანასკნელ ძალ-ღონეს რომ მოიკრებს, მოაჯირზე გადაგორდება, გადავარდება და ლოგინზე ისეთი ზღარონით ვარდება, სულ მგონია, იატაკი ჩაანგრია, ქვემოთ მინდიასა და ჯაბას დაასკდა, ყველანი ერთად კი სამზარეულოში ჩაცვივდნენ-მეთქი.

ახლა კი სამზარეულოდან გამოცვივდეთ და მიმოვიხედოთ კუნძულზეც, რომელზეც დანიელთა საყვარელი პლაჟები ყოფილა. ამ პლაჟებზე კვირას უამრავი ოქროსფერთმიანი და ველოსიპედიანი ესბერგელი ჩვენსავით ბორნებით გადმოვიდა, აქედან კი გაშავებულნი გაბრუნდნენ. ოღონდ მზეზე კი არ გარუჯულან, არამედ ტალახიან და ტალახისფერ ზღვაში შეღებილან.

ჯერჯერობით, ასე უცებ, კუნძული, ცხადია, ვერ ავითვისეთ, ამიტომ სხვა კუნძულური თავგადასავლები ალბათ მერე იქნება, მით უმეტეს, რომ თამაშების ორგანიზაცია სხვა საქმეშიც მოიკოჭლებს.



ესბერგის სპორტული პარკი

პატარა ესბერგის აწ ხმაურიანი და ხალხმრავალი ქუჩა

პირველი მედლები ანუ ალესილი ხანჯალიაშვილი

ᲐᲮᲚᲐ დროა, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ თავად ამ თამაშებზეც, რომელიც კვირას გაიხსნა ესბერგის სპორტულ პარკში, უფრო ზუსტად, ამ პარკის 15 000-ადგილიან სტადიონზე, რომელიც 1956 წელს აუშენებიათ და ოლიმპიურს უწოდებენ. თამაშების საზეიმო გახსნის. ცერემონიალზე 48 ქვეყნის 2500 სპორტსმენი გამოვიდა. მას პატივი დასდო სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, ევროპის ეოკ-თა პრეზიდენტმა ჟაკ როგმა.

ორშაბათს დაიწყო შეჯიბრებები. ჩვენმა ძიუდოისტმა ზვიად ხანჯალიაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, მესამე ადგილზე გავიდა ჯაბა გოგიშვილი.

ჩოგბურთელთა პაექრობაში ნინო ესებუამ პირველ წრეში სძლია უკრაინელ ტატიანა ბელას, ხოლო ოთარ ენუქიძემ ბერძენ სავოს პანაგიოტოსს.

ევროპის ახალგაზრდობის V ოლიმპიური დღეების საზეიმო გახსნის ცერემონიალს ჩვენმა მძიმეწონოსანმა ძიუდოისტმა ზვიად ხანჯალიაშვილმა თავის კოტეჯში ტელეეკრანზე უყურა, რადგან მეორე დღეს, ორშაბათს უნდა ეჭიდავა და ენერგიას ინახავდა. უღიმღამო გახსნის ცერემონიალიდან დაბრუნებულთ ზვიად ხანჯალიაშვილი ხანჯალივით ალესილი დაგვიხვდა — ტელევიზორში საქართველოს დელეგაციის გამოსვლის გარდა ყველა ქვეყნისა აჩვენეს და ჩვენ რატომ დაგვჩაგრესო. მერე დაიქადნა, ხვალ ისე ვიჭიდავებ, ამათ საქართველოს ჰიმნსაც დავაკვრევინებ და სახელმწიფო დროშასაც ავაწევინებო.

მართლაც, ამ 16 წლის თელაველმა გოლიათმა, ოლიმპიური დღეების მონაწილე სხვა ქვეყნების კალათბურთელთა შორისაც კი თავისი სიმაღლით რომ გამოირჩევა (205 სმ) და წონითაც (130 კგ), შეჯიბრება მშვენივრად დაიწყო — ჯერ გერმანელ დირკ გერმანს რაღაც 30 წამში მოუღო ბოლო, მერე ლიტველ იუსტ დრეკინსკასთან საქმის მოთავებას 20 წამით მეტი თუ მოანდომა. ამგვარად, ხანჯალიაშვილი ფინალში მოხვდა, იქ კი ებრაელი ალექსანდრ ბლეტელი დახვდა. მჯობნის მჯობნს ამ ქვეყნად რა გამოლევს და, ამ იქნებ თელავიველმა თელაველი ბიჭი 4 წუთში წმინდად დაგვიმარცხა. ქართველი გოლიათი თვალებზე ხელაფარებული კულისებში გავიდა, რათა ცრემლმორეული არავის დაენახა, მაგრამ დაჯილდოების ცერემონიალის მერე უნდა გენახათ, რა დღეში ჩააგდეს გერმანელმა გოგოებმა, როცა მათ ზვიადმა საჩუქრად მიღებული ყვავილები იქით აჩუქა. ჰოდა, ამ გოგოებმა ზვიადს აქეთ-იქიდან სკამები მიადგეს, ზედ შეხტნენ და კისერზე ჩამოეკიდნენ, თან სამახსოვრო სურათებს ხვევნა-კოცნით იღებდნენ.

როგორც ზვიადმა გვითხრა, აქ მხოლოდ ოქროს მედლისთვის ჩამოვედიო, მაგრამ მერე, ცოტა რომ დაწყნარდა, აქეთ დაგვამშვიდა, არც ვერცხლია ცუდი და ჩემპიონობა მერე იყოსო.

ასე იყო თუ ისე, ზვიად ხანჯალიაშვილისთვის ეს პირველი მნიშვნელოვანი წარმატებაა. აქამდე მას შარშანდელ საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე მესამე ადგილი დაუკავებია, წლეულს კი გაუმარჯვია და თურქეთის საერთაშორისო ტურნირიც მოუგია.

— ბევრჯერ შემომთავაზეს, ბედი კალათბურთში სცადეო, მაგრამ ძიუდო ყველაფერს მირჩევნია. 9 წლისა მშობლებმა მიმბარეს მწვრთნელ გივი ფოთოლაშვილთან, ახლა კი ჯემალ ნათელაშვილი მავარჯიშებს — გვითხრა ზვიადმა.

ზვიად ხანჯალიაშვილამდე საქართველოს დელეგაციას ბრინჯაოს მედალი მოუტანა თბილისელმა ძიუდოისტმა ჯაბა გოგიშვილმა (90 კგ).

ეს ბიჭი საჩემპიონო იყო, წუხან ჩვენი მწვრთნელები, მაგრამ ჯაბას ბედი პირველ წრეში გადაწყდა, როცა უკრაინელ ვიტალი ბობონთან თანაბარი ბრძოლის მერე მსაჯებმა ხანტეით გამარჯვება მის მეტოქეს მიანიჭეს.

მეორე წრეში ჯაბა გოგიშვილს მეტოქე აღარ ჰყავდა, რადგან მისმა მოწინააღმდეგე რუსმა ევდოევმა მანამდე დისკვალიფიკაცია მიიღო. ჯაბამ ამის მერე იპონით სძლია სლოვენიელ მატიას ცერაჩს, ჩეხი რამენ სმეტანა კი 20 წამში ჩამოიცილა გზიდან.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲙᲕᲘᲚᲘ
ᲔᲡᲑᲔᲠᲒᲘᲓᲐᲜ

ᲒᲣᲨᲘᲜ

ჩვენი ძიუდოისტი გიორგი თოთლაძე (73 კგ) ახლოს იყო ჩემპიონობასთან. მან ფინალურ შეხვედრამდე ოთხივე ბრძოლა წმინდად მოიგო. იგებდა გადამწყვეტ შეხვედრასაც ვაჰიბ ბაბაევთან (რუსეთი), მაგრამ ბოლოს გაფრთხილება მიიღო და გამარჯვებაც მეტოქეს დარჩა.

მინდია ბოდაველმა (81 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქართველმა ჩოგბურთელებმა ნინო ესებუამ და ოთარ ენუქიძემ კვლავ გაიმარჯვეს და მეოთხედფინალში გავიდნენ. ერთმაც და მეორემაც პორტუგალიელი მოგვარეები ნეუზ და ჟოზე სილვები დაამარცხეს.

საინტერესოა, რომ ნეუზი ამ შეჯიბრებაზე მესამე ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ნინომ მას ორ ხელში სძლია (7:6, 7:5), თუმცა, მეორეში 2:5 აგებდა.

რაც შეეხება ოთარის მეტოქეს, იგი მეექვსე ნომრად იყო განთესილი და მისი ძლევისა ჩვენს ჩოგბურთელს მაინცდამაინც არც სჯეროდა, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო და ოთარმაც გაიმარჯვა 6:3, 6:4

მძლეოსანთა შეჯიბრებაზე როსტომ ჭინჭარაულმა შუბი 58,78 მეტრზე ტყორცნა და ფინალში გავიდა, ბირთვის კვრაში კი საბოლოოდ IV ადგილი დაიკავა — 17.76 მ.

ამ სტადიონზე გაიხსნა ევროპის ახალგაზრდობის V ოლიმპიური დღეები

მიკა სალო: ავარიული კარიერა

დასაწყისი პირველ გვერდზე

არადა, მანამდე იტალიელები თავისთან ეპატიჟებოდნენ „ზაუბერის“ პილოტს ჟან ალეზის, რომლის სიცილიური წარმომავლობა და ბოლიდის ტარების აგრესიული სტილი წითლებს შუმახერის შესაფერის ალტერნატივად მიაჩნდათ.

მაგრამ ალეზიმ, რომელიც სკუდერიის რიგებში 1991-95 წლებში გამოდიოდა, ამ წინადადებაზე თავად თქვა უარი: — „ფერარის“ მართვა ძალიან მინდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიხაელიც ჩემს გვერდით იქნება. მისი ორი თვით შეცვლით კი სულაც არ ვარ დაინტერესებული. შუმი ჩემი მეგობარია, „ფერარიც“ ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ პირობებში იქ გადასვლა არ შემიძლია.“

ამის მერე „ფერარიმ“ მიკა სალოსა და ტესტ-პილოტ ლუკა ბადოერს დაადგა თვალი.

იტალიელები სალოს ორშაბათს შეეხმიანენ და ისიც მაშინვე აპინენებზე გაფრინდა. როგორც ზემოთ გითხარით, გუშინ, „ფერარის“ პატრონებმა და ფინელმა მრბოლმა ერთმანეთს დასტური მისცეს.

მაშ ასე, მიხაელ შუმახერის № 3 ბოლიდით ახლა მიკა სალო იქროლებს.

32 წლის სალო თავის დროზე „ლოტუსის“, „ტირელის“ და „ეროუზის“ პილოტი გახლდათ, მაგრამ თავისი ადგილი ფორმულა 1-ში წლევანდელი სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დაკარგა. მაგრამ მერე, როდესაც BAR-ის მეორე პილოტმა რიკარდო ზონტამ გაზაფხულზე ფეხი დაიშავა, სალომ იგი რამდენიმე ეტაპზე შეცვალა და წარმატებითაც: სან მარინოში ფინელი მეშვიდე იყო, რაც სეზონში გუნდის საუკეთესო შედეგია.

როგორც „ფერარის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, ფინელი მრბოლი სულ მალე შეუდგება ვარჯიშს და წითელ ბოლიდს პირველად ავსტრიის დიდ პრიზზე გაიყვანს.

დეიმონ, ან ჰო, ან არა!



ფორმულა 1-ის ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი დეიმონ ჰილი თავის გეგმებზე ისევ დუმილს ამჯობინებს.

ვეტერანი ინგლისელი რამდენიმე კვირის მანძილზე აცხადებდა, რომ გასულ უქმეებზე მშობლიურ „სილვერსტუნის“ ტრასაზე რბოლის შემდეგ სპორტიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ იქ დაკავებულმა მეხუთე ადგილმა, ეტყობა, აზრი შეაცვლევინა.

„დარწმუნებული ვარ, ეს დეიმონის უკანასკნელი რბოლა არ ყოფილა. წინ კიდევ რამდენიმე მისი საყვარელი ეტაპია და თუ სეზონის ბოლომდე მაინც დარჩება, მთელი გუნდი მოხარული იქნება“ — განაცხადა ჰილის ბოსმა, „ჯორდანის“ თავკაცმა ედი ჯორდანმა.

ჯორდანმა, რომლის გუნდს მორიგი ტესტები გუშინ უნდა დაეწყო, დაუმატა, დეიმონს ბევრი საკითხი აქვს ასაწონ-დასაწონი და თავისი გადაწყვეტილების შესახებ მალე შეგვატყობინებსო.

„თუ პილოტს რბოლა აღარ სურს, ამას აღარაფერი ეშველება. მაგრამ გასულ უქმეებზე დეიმონი შესანიშნავად გაისარჯა, ამჟამად ერთ-ერთ საუკეთესო მრბოლ (თანაგუნდელ) ფრენცენს არაფერში ჩამორჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიჩქარის მხრივ იგი არც ახლა მოისუსტებს“.

გუშინ „სილვერსტუნის“ ტრასაზე ავარიაში ფეხმოტეხილი მიხაელ შუმახერი ნორთჰემპტონის საავადმყოფოდან გაეწერა.

„ამ დილით მიხაელი შესანიშნავ ხასიათზე იყო. ჩვენც გახარებულები ვართ მისი პროგრესით. იგი თავს გაცილებით კარგად გრძნობდა, კიდურებსაც უკეთ ამოძრავებდა და არტახებიც არ დასჭირვებია. თავადაც მიხვდებით, შუმის ერთი სული აქვს, რბოლას დაუბრუნდეს განაცხადა ქირურგმა ბილ რიბენსმა.

ორშაბათს ღამე „ფერარის“ პილოტს მშვიდად, კარტის თამაშსა და მეუღლე კორინასთან ერთად ტელევიზორის ცქერაში გაუტარებია. ტკივილის გამაყუჩებელებიც თითქმის აღარ მოუთხოვია.

დილით კი რამდენიმე ქირურგის შემოწმების შემდეგ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი საავადმყოფოდან გაწერეს და მაშინვე შინ, ჟენევაში წაიყვანეს.

„ისეთი ტრავმის მიღება მაღალ სიჩქარეზე რბოლის დროს მარტო ძვლისთვის კი არა, ქსოვილისთვისაც მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას ითვალისწინებს“ — დაუმატა რიბენსმა, რომელმაც შუმახერის ფორმულა 1-ში დაბრუნების ზუსტი ვადის დასახელებისგან.

„ჩვეულებრივ ადამიანს ასეთი ტრავმის მოსაშუშებლად სამი-ოთხი თვე სჭირდება. მიხაელი ძალიან მიზანსწრაფული და ფიზიკურად ძლიერი მრბოლია. თუ იგი ამაზე ადრეც მოახერხებს დაბრუნებას, ჩვენც ძალიან მოხარულები ვიქნებით“

პესიმისტი რიბენსისგან განსხვავებით, სხვები სავარაუდოდ ექვს-რვა კვირას ასახელებენ, თუმცა წლეულს გერმანელის ჩემპიონობის იმედებს რომ ასრულება აღარ უწერია, თავად მიხაელსაც კარგად მოეხსენება.

„ვიცი, რომ ჩემპიონების არანაირი შანსი აღარა მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „ფერარის“ საჭეს ამ სეზონშივე მივუჯდები. დეპრესიაში არ ვარ, თავს თავისუფლად ვგრძნობ და მომავალს იმედით ვუყურებ“ — განაცხადა ავარიის შემდეგ თავის პირველ ინტერვიუში შუმიმ.

ორშაბათს კი მიხაელი კარიერის ყველაზე საშიში ავარიის კადრებს უცქერდა. გამოღვიძებისთანავე მან „ფერარის“ დირექტორს ჟან ტოდტს ავარიის ვიდეოფირები სთხოვა და ისიც ერთი საათის შემდეგ ხელცარიელი არ დაბრუნებულა.

შუმი მაინცდამაინც ნასიამოვნები არ დარჩენილა: „გამიმართლა, რომ გადავრჩი. იმ მომენტში საშიში ის იყო, ვერაფრით გავერკვიე საქმის ვითარებაში. პირველად მოხდა, რომ მანქანიდან ჩემით ამოსვლა ვერ მოვახერხე. გადარჩენისთვის კი იმ ცვლილებების მადლიერი ვარ, რაც ჩვენი ბოლიდების კონსტრუქციამ ბოლო წლებში განიცადა“.

შუმის მუვიდ ოლმე

შუმახერს საავადმყოფო აღარ სჭირდება

REUTERS ფოტოდან

ასე იმგზავრა მიხაელ შუმახერმა ნორთჰემპტონიდან ჟენევამდე

სხვათა შორის, უმცროსი ძმის, რალფის გარდა, რომელიც საავადმყოფოში შუმის თანაგუნდელი ედი ირვინისგან ნათხოვარი ვერტმფრენით გადაფრინდა, ორშაბათს მიხაელი ძველმა მეტოქემ და ახლამ მეგობარმა დეიმონ ჰილმაც მოინახულა.

შუმახერის ავარიის მიზეზები კი საბოლოოდ ჯერაც არ არის დადგენილი.

დამტვრეული ბოლიდი სატვირთო მანქანით „ფერარის“ ქარხანაში, მარანელოში წაიღეს, სადაც კვირის ბოლომდე ყველაფერს კარგად შეამოწმებენ. ჯერჯერობით სავარაუდოდ ავარიის მიზეზად უკანა მუხრუჭების გაუმართაობა მიაჩნიათ, თუმცა ზოგი დამნაშავედ თავად შუმის მიიჩნევს, უნდა სცოდნოდა, რომ რბოლის დასაწყისში მუხრუჭების სისტემა კარგად არ მუშაობსო.

გუშინ FIA-ს კომისიამ რამდენიმე ციფრი გამოაქვეყნა ავარიის თაობაზე.

პირველად მანქანის შეჩერება შუმახერს 306 კმ-სთ სიჩქარეზე უცდია, 240-ზე წინა ბორბლები გაჭედილა, საბურავების კედელთან შეჯახების დროს კი სიჩქარე 107 კმ-სთ ყოფილა.

„ფერარის“ ბოლიდებს არაჩვეულებრივად ძლიერი, შემოჭერილი უსაფრთხოების ღვედები აქვთ, მაგრამ ამის მიუხედავად, მიხაელმა საჭეს თავი მაინც მიარტყა. ადვილი წარმოსადგენია, რა ძლიერი დარტყმა იყო“ — განაცხადა FIA-ს თავკაცმა მაქს მოსლიმ.

მოსლიმ ისიც დაუმატა, მომავალში უსაფრთხოების ზომებს კიდევ უფრო გავამკაცრებთო, თუმცა შუმის რა ხეირი.

ქაჯა არჯევანიძე

ახლა უელსელსაც მოვუსმინოთ

ბოლო დროს ქართველებს უცხოელი მწვრთნელები აღარ გვეუცხოება. პირველი მერცხალი ახალგაზრდა მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელის დავით კილასონიას ახალზელანდიელი თანაშემწე იყო, მერე ეროვნულ გუნდს ფრანგი კონსულტანტი კლოდ სორელი დაუნიშნეს. მორაგბეთ ფეხბურთელებმაც მიბაძეს და აგერ, იოჰან ბოსკამპი და ჯანი კარნევალე ყოველივე ამის მიზეზი ქართველ მწვრთნელთა არასათანადო კვალიფიციურობაა. ერთ კვირაში კი საქართველოს მორიგი უცხოელი მწვრთნელი ეწვევა — უელსელი ჯეისონ ლუისი, რომელიც მორაგბეთა ეროვნულ პირველობაში მონაწილე კლუბების მწვრთნელებს ორკვირიან სემინარებს ჩაუტარებს. სტუმარს, რომელიც ყოფილი მორაგბის მიხეილ ხარატის მოწვევით ჩამოდის საქართველოში, ჩვენი მწვრთნელებისთვის სახელმძღვანელოები, მოთაშეებისთვის კი ეკიპირება და სავარჯიშო ინვენტარი მოაქვს. როგორი კვალიფიკაციისაა ლუისი, მალე გაირკვევა. მაგრამ უელსის რაგბის კავშირის მწვრთნელთა საბჭოს წევრი დაბალი კვალიფიკაციის არ უნდა იყოს. რა სახის კავშირი დამყარდება საქართველოს რაგბის კავშირსა და უელსელ მწვრთნელს შორის მისი ორკვირიანი სტუმრობის შემდეგ გაირკვევა, რომლის დროსაც ლუისი ეროვნული ჩემიონატის თამაშებსა და გუნდების ვარჯიშებსაც დაესწრება.

პაატა თოთაძე

იაპონია ჯერაც შეგირდია

ცოტა ხნის წინ სარაგბო სამყაროში იაპონიას სერიოზულ მეტოქედ არ აღიქვამდნენ, მაგრამ არავინ უარყოფდა, რომ რაგბი ამ ქვეყანაში ძალიან სწრაფად ვითარდებოდა და მოკლე ხანში იაპონელები ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცეოდნენ. თუმც ეს დრო გაცილებით ადრე დადგა, ვიდრე ამას ელოდნენ.

გასულ კვირას იაპონიამ ყველას დაანახა თავისი ძალა, როცა წყნარი ოკეანის მონაპირეთა ჩემპიონატი მოიგო. არადა, ამ შეჯიბრში ასპარეზობდნენ კანადა, ფიჯი და სამოა. სპეციალისტები სწორედ ამ სამეულიდან ერთ-ერთის გამარჯვებას ელოდნენ, იაპონელებმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. მართალია, ამ წარმატებას მათ ზელანდიელ და ფიჯელ მორაგბეთა მიწვევის წყალობით მიაღწიეს, მაგრამ არც ისა საქმე, თითქოს იაპონელები არაფრის მაქნისები იყვნენ.

ამჟამად იაპონიის ნაკრები ახალ ზელანდიაში გადის მზადებას მსოფლიოს თასის დასკვნითი ეტაპისთვის, რომელიც 1 ოქტომბერს დაიწყება. კვრას იაპონელებმა პირველი მატჩი გამართეს ვაიკატოს პროვინციის გუნდთან. წინსვლა წინსვლად, მაგრამ ახალზელანდიელებთან თანასწორი თამაშისგან იაპონელები ჯერაც შორს არიან, ამიტომაც არის, რომ როის უილისის, დილან მიკას, ბრუს რეიჰანას და რის დაგანის გარეშე დარჩენილ ვაიკატოს (რომელნიც „ოლ ბლექსში“ და ქვეყნის მეორე ნაკრებში არიან მიწვეულნი) სტუმართა ძლევა არ გასჭირვებია 70:32. იაპონელთა დამრიგებელი სეიჯი ჰირაო შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყო, თუმცა აღნიშნა, რომ დღესდღეობით მის ბიჭებს პროვინციის გუნდების დამარცხების ძალა არ შესწევთ, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ მომავალ სამ შეხვედრაში, რომელსაც იაპონელები ახალ ზელანდიაში გამართავენ, მისი შეგირდები უკეთეს შედეგს თუ არა, თამაშს მაინც აჩვენებენ.

პაატა თოთაძე

სკრელა: მამლები ან მამლაყინწები

გუშინ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ჟან-კლოდ სკრელამ დაასახელა იმ 30 მობურთალის ვინაობა, რომლებიც 1 ოქტომბერს დასაწყებ მსოფლიოს თასის დასკვნითი ეტაპისთვის მოემზადებიან. ოკეანეთს სტუმრობის მერე, სადაც „მამლებმა“ ოთხი გამართული მატჩიდან მხოლოდ ერთში იმარჯვეს, მწვრთნელმა გუნდში რამდენიმე ახალ მობურთალს უხმო. მოულოდნელობა იყო ნაკრებში ჰეტერ დევილიეს და სედრიკ სულეტის გამოძახება. სამხრეთ აფრიკაში დაბადებული დევილიეს ფრანგი წინაპრები ჰყავდა და ბოლო დროს „სტად ფრანსეზში“ ბურთაობდა. შემადგენლობაში მოხვდა ვეტერანი აბდელ ბენაზი, რომელსაც თავის დროზე „მამლებისთვის“ უკაპიტნია და 1995 წლის ხუთი ერის პირველობაზე „დიდი სლემი“ აქვს მოგებული. სამაგიეროდ, ნაკრებს მიღმა დარჩნენ შარშან საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ჟან-ლუკ სადურნი, ფილიპ ბენეტონი და ფაბიენ გალტიე.

გუნდი 2 აგვისტოს შეიკრიბება და საფრანგეთში დაიწყებს მზადებას მსოფლიოს თასისთვის, 28 აგვისტოს კი ტესტ-მატჩს გამართავს სტუმრად უელსთან. მსოფლიოს თასზე ფრანგებთან ერთად ჯგუფში კანადელი, ფიჯელი და ნამიბიელი მორაგბეები მოხვდნენ. ასე რომ, ფრანგებს მხოლოდ ფიჯელებთან მოუწევთ ოფლისღვრა, კანადელებთან და ნამიბიელებთან კი, ვფიქრობთ, უპრობლემოდ გაიმარჯვებენ. სკრელას თქმით, მის მიერ გამოცხადებული შემადგენლობა საბოლოო არ არის და მოთამაშეთა ტრავმების შემთხვევაში შესაძლებელია, გუნდში ახალი მობურთალები გამოჩნდნენ. „ისე კი ამჟამად გუნდში ის მორაგბეები მოვიწვიეთ, ვინც გრძნობს პასუხისმგებლობას და მებრძოლი სული აქვს. დიდ იმედებს ვამყარებ სტეფან გლასზე და რიშარ დურთიზე. მათ ძალუძთ გუნდის ლიდერობა. გარემარბის პოზიციაზე ალბათ ოლივიე სარამეას და ემილ ნტამაკს დავაყენებ, თუმცა ამ უკანასკნელს ასეთივე წარმატებით შეუძლია ითამაშოს მცველის პოზიციაზე. არჩევანი დიდი გვაქვს და იმედია, არ შეეცდებით“.

ბაჩო სვანიძე

გასეირნება იტალიაში



REUTERS სესტრიერიდან

ტური ანგელოზებამდე ამაღლდა

მეცხრე ეტაპმა სტარტი ფრანგულ გრან-ბორნანში აიღო და 213,5 კილომეტრის გავლის შემდეგ მრბოლებმა ფინიშის ხაზი იტალიურ სესტრიერში გადაკვეთეს. ალპების ჰავა ყველაზე მეტად ამერიკელ ლანს არმსტრონგს მოუხდა და მანაც ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო. თანაც ისეთი უპირატესობით, რომ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი აბრაამ ოლანო უკვე ექვს წუთზე მეტით ჩამოიტოვა უკან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „პოსტალის" წევრმა გამარჯვება მშვენიერ სტილში და შედარებით იოლად მოიპოვა, ვნახავთ, რომ საბოლოოდ პირველობის მთავარი პრეტენდენტი სწორედ ისაა.

არმსტრონგი, რომელმაც მეცის ინდივიდუალურ რბოლაშიც კარგი შედეგი აჩვენა, გუშინ მეტოქეთათვის ფაქტობრივად ხელშეუხებელი იყო. მისთვის მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შვეიცარიელმა ალექს ცულემ შეძლო, მაგრამ მაინც 31 წამი წააგო. ამერიკელს ახლა თავისი კერპისა და თანამემამულის გრეგ ლემონდის დარად „ტურის" მოგება. მით უმეტეს, რომ სტატისტიკაც მის სასარგებლოდაა. ამ შეჯიბრის ისტორიაში თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ სესტრიერში ეტაპის ფინიში სამჯერ შედგა. 1952 წელს აქ ფაუსტო კოპიმ იმარჯვა, 1996 წელს კი — ბიარნ რიისმა. ჰოდა, ორივეს ის „ტურები" ყვითელი მაისურათი დაუმთავრებიათ. 1992 წელს გამარჯვებული კლაუდიო ჩიაპუჩი კი საბოლოოდ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილს დასჯერდა, რაც თავისთავად მიღწევაა, რადგან მაშინ პირველი დიდი მიგელ ინდურაინი გახდა.

პირველი სერიოზული შეტევა ორი აღმართის გავლის შემდეგ ხუთმა სპორტსმენმა წამოიწყო. მათმა უპირატესობამ 6 წუთსაც მიაღწია, მაგრამ „პოსტალის" ძალისხმევით ისინი თანდათანობით დანებდნენ. ყველაზე დიდ ხანს ხოსე არიეტამ გაძლო — მას დღის მთავარ უღელტეხილ გალბიედან დაშვებისას წამოწიენენ მთებში რბოლის დიდოსტატები. დაწინაურებულთა შორის იყვნენ ივან გოტი, რიშარ ვირანკი, ფერნანდო ესკარტინო, ალექს ცულე, ლორან დიუფო და ლანს არმსტრონგი.

მანამდე, წვიმაში ამერიკელი ძალიან ჭკვიანურად იქცეოდა და თავისი გრეგარების უკან მყოფი, ძალებს ზოგავდა. ხოლო როცა მეტოქეებმა გაქცევა გადაწყვიტეს, ისიც იოლად მიჰყვა მათ. თუმცა „პოსტალის" ლიდერი ისეთ ჯგუფში იყო, ეტაპზე მის პირველობას იმ მომენტში ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა.

„მხოლოდ ჩემი ყვითელი მაისურას დაცვა მსურდა, მაგრამ რბოლის მიმდინარეობამ ჩემს ტაქტიკაში ცვლილებები შეიტანა და მეც გადამწვეტი იერიში წამოვიწყე" — თქვა 27 წლის ამერიკელმა. ეს უკანასკნელი შეტევა მან ფინიშამდე ათი კილომეტრით ადრე დაიწყო. იგი ჯერ დაშვებისას ოდნავ დაწინაურებულ გოტისა და ესკარტინს წამოეწია, შემდეგ კი, როცა ამ სამეულს ცულეც შეუერთდა, არმსტრონგმა სიჩქარე კიდევ გაზარდა და ყველა მიხვდა, რომ მეცში მას შემთხვევით არ გაუმარჯვია — იგი მართლაც ძალიან ძლიერი მრბოლია და დამტკიცდა, რომ მთებშიც ისევე კარგად გამოდის, როგორც ინდივიდუალურ რბოლებში.

„ეტაპის მოგების მთავარი პრეტენდენტი ცულეა" — თქვა არმსტრონგმა ორშაბათს და შვეიცარიელმაც მისი პროგნოზის თანახმად ყველას აჯობა... ოღონდ ამერიკელის გარდა.

საინტერესოა, რა მოხდება დღეს. მეათე ეტაპი 220,5 კილომეტრი სიგრძისაა და სამი უმაღლესი კატეგორიის სიძნელის უღელტეხილს შეიცავს. პელოტონი იტალიიდან კვლავ საფრანგეთს დაუბრუნდება — სტარტი სესტრიერშია, ფინიში კი ალპ-დუესში.

გაიოზ თალაკვაძე

მეცხრე ეტაპი

გრან-ბორნანი — სესტრიერი, 213,5 კმ

1 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 5 სთ 57 წთ 11 წმ
2 ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +31 წმ
3 ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — +1 წთ 26 წმ
4 ივან გოტი (იტალია, პოლტი) — +1 წთ 26 წმ
5 მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ბანესტო) — +2 წთ 27 წმ

საერთო ჩათვლა

1 ლანს არმსტრონგი — 39 სთ 31 წთ 07 წმ
2 აბრაამ ოლანო — +6 წთ 03 წმ
3 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +7 წთ 44 წმ
4 ალექს ცულე — +7 წთ 47 წმ
5 ლორან დიუფო — +8 წთ 07 წმ


ერთიანი
ბიბლიოთეკა
ბრესტი
S/F
S
F
ბაიეული
ბაიონა-სიუარ-ლუარი
ტიერენვილი
ბეიე
S/F ***
პარიზი
F
S
ორლეანი
ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხელბურთი ძალიან დაიტვირთა

საქართველოს ნაკრები საევროპოდ ახლებურად ემზადება

მძიმე აღმართს შესდგომიან ქართველი ხელბურთელები, მძიმეს, მაგრამ საბატიოს და საპასუხისმგებლოს. მათ სექტემბერში ევრობის ჩემპიონატის შესარჩევი პლეი ოფი ელით დანიელებთან. ეს ბარიერი იოლად დასაძლევი რომ არაა, ჩვენებმა მშვენივრად უწყიან და ამიტომაც ჩრდილოელებთან შესახვედრად საგანგებოდ ემზადებიან.

როლანდ ერაძე

ალეკო ბოყოჩაძე



ვახტანგ მეიფარიანი

გუნდი 20 ივნისიდან საწვრთნელ შეკრებაზეა და დღეში ორჯერ ვარჯიშობს, წვრთნა მთლიანად ფიზმომზადებას ეთმობა. ხელბურთელები ყოველ დილით სტუ-ს დარბაზში ტრენაჟორებზე ვარჯიშობენ, საღამოთი კი, ორი საათით — დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში. მათ იური სტადუხინი ხელმძღვანელობთ. ფიზმომზადების ეს ცნობილი სპეციალისტი საგანგებოდ მიიწვიეს გუნდში. მისი ძირითადი მოვალეობა მოთამაშეთა კუნთების დამუშავება და მათი მოძრაობებისთვის მეტი ელასტიურობის მინიჭებაა. ისიც დიდი დატვირთვით ავარჯიშებს ბიჭებს. მათთვის ზოგიერთი ვარჯიშის მნიშვნელობა ბოლომდე გარკვეული არცაა. დატვირთვებიც უჩვეულოა, მაგრამ მაინც უსიტყვოდ ასრულებენ სტადუხინის მითითებებს. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, იციან, ეს საქმეს სჭირდება და იმიტომ ვარჯიშობენ ასე თავგამოდებით.

დატვირთვები კი მართლაც დიდია. გუნდის ექიმ იური გოგიაშვილის თქმით, ამ უჩვეული დატვირთვების გამო ტიტე კალანდაძეს კისრის კუნთის ანთებაც კი დაემართა, თუმცა საშიშიც არაფერია და გოგიაშვილის აზრით, კალანდაძე დღესვე მზადაა სავარჯიშოდ. ეგაა, ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ლეგიონერი ჯერ პირად პრობლემებს იგვარებს. სტადუხინი ბიჭებს არც მზრუნველობას აკლებს და საგანგებო ვარჯიშების მერე უსინჯავს არტერიულ წნევას, მაჯისცემას... ისეც ხდება-ხოლმე, რომ ვიღაცას ერთი-ორი ვარჯიშიდან საერთოდ ათავისუფლებს, გადაღლილხარ და დაისვენეო, ზოგიერთს ვარჯიშებს უცვლის და ასე შემდეგ. მაგრამ ბიჭების ჯანმრთელობაზე მხოლოდ მწვრთნელი არ ზრუნავს. გუნდს შსს სამედიცინო სამსახური შეფობს, რომელსაც ყოფილი ხელბურთელი გია აბესაძე ხელმძღვანელობს. ეს უწყება საკუთარ ბაზაზე წელიწადში ერთხელ გუნდს სამედიცინო შემოწმებას უტარებს და თუ საჭიროა, თავადვე მკურნალობს. მათი მომსახურებით ხელბურთელები აგვისტოში ისარგებლებენ.



ტიტე კალანდაძე და ზაზა დოლიძე

ექიმის თქმით, გუნდში ტრავმირებული არავინაა. ნატკენი მხარი მოირჩინა გარი თურქიამ, ხელი — სერგო დათუკიშვილმა.

როგორც ნაკრების მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ გვითხრა, გუნდის ბირთვი უცვლელია. შეკრებაზე ყველა ლეგიონერი ჩამოვიდა. დაიმტეს რამდენიმე დებიუტანტი, მაგრამ საბოლოო შემადგენლობა მაინც მოსამზადებელი ციკლის მერე გაირკვევა. დღეიდან გუნდს შეუერთდება მეკარე ლევან კენჭაძეც, რომელმაც ერთხანს სპორტს თავიც კი დაანება.

გუნდი 15 ივლისიდან ბურთით ვარჯიშსაც დაიწყებს. 22-29 ივლისს კი კრასნოდარში მერიის თასის საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ. იქ ჩვენების გარდა იასპარეზებენ უკრაინის, ბელარუსის, რუსეთის ორი და ამდენივე უცხოური გუნდი. მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქებთან. მათ თვითონ ითხოვეს საკონტროლო თამაშების გამართვა, ოღონდ ივლისის ბოლოს. ამ დროს კი ჩვენები კრასნოდარში იქნებიან. მათ 5-10 აგვისტო შესთავაზეს. თუ ეს თარიღი თურქებისთვის ხელსაყრელია, მაშინ... 15 აგვისტოს მერე ქართველი ხელბურთელები იტალიაში წასვლენ. იქ ტრიესტის გუნდთან საკონტროლო მატჩებია დაგეგმილი. აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე კი ჩემპიონთა თასის გათამაშებაა, სადაც გუნდის ბირთვი — „სტუ-შევარდენი“ გამოვა, ამასობაში დანიელებთან პირველი შეხვედრის დროც მოვა — 12 ან 13 სექტემბერი.

იური სტადუხინმა ხელბურთელთა ვარჯიშში ბევრი რამ თავდაყირა დააყენა

როგორც ხედავთ, ხელბურთელთა ნაკრებს ვარჯიშებთან ერთად კალენდარიც გადატვირთული აქვს, თუმცა ხელმძღვანელობა მოთამაშეთა გადაღლის საშიშროებას ვერ ხედავს და თვლის, რომ ბიჭები პლეი ოფს მომზადებულნი შეხვდებიან.

ირაკლი თავაძე

ირაკლი ნიკოლაძის ფოტოები

ჭადრაკი

უნგრელები იგებენ და აგებენ

ორიოდ წლის წინ ვინ გაბედავდა უნგრეთში პოლგარების საჭადრაკო საგვარეულოსთვის თავის გატოლებას, თუნდაც მამაკაცი და ქალი ხომ... მაგრამ დრო, მოგეხსენებათ, არ ჩერდება და ხანდახან ახალი ვარსკვლავიც უნდა გამოჩნდეს. პიტერ ლეკოს ამ ეპითეტს ვერ დავაყვედრით. 19 წლის ჭაბუკი ჯერ ფიდეს იუნიორთა რეიტინგ-ლისტიდან არ ამოუშლიათ, ის კი უკვე მოზრდილთა საუკეთესო ათეულის წევრია. ლეკომ რეიტინგებით (როგორც ფიდე-სი, ასევე მსს-სი) უკან მოიტოვა პოლგართაგან ყველაზე ქებული, იუდითი და დღეს ახალიანად აგრძელებს თავის საქმეს დორტმუნდის სუპერტურნირში.

დორტმუნდის XIX კატეგორიის სუპერტურნირი შარშან კრამნიკმა მოიგო, ბოლო ადგილს კი შიროვი შერჩა. არა მგონია, ექს-რიგელი ამას გაეგრაზებინა, მაგრამ ფაქტი კია, რომ შიროვმა წლეულს დორტმუნდს უგანა და სხვა საქმე გაიჩინა, რაზეც ქვემოთ გიამბობთ. სამაგიეროდ, აქ არიან კარპოვი, ანანდი, კრამნიკი, ტოპალოვი, ადამსი, ლეკო, სოკოლოვი და ტიმანი, რომლებიც დიდოსტატთა ანუ უმაღლეს ჯგუფში განაწესეს. არის კიდევ „ოსტატთა“ ჯგუფი, ხოლო დანარჩენი წვრილფეხობა A და B კლასის ღია ტურნირებში ცდის ძალას. ამ უკანასკნელთა ამბავი მკითხველს, ცხადია, ნაკლებად აინტერესებს და ჩვენც რჩეულებს დავუბრუნდეთ, რომლებმაც უკვე 3 ტური ითამაშეს და როგორც ამ წერილის სათაურის პირველი ნაწილი ცხადყოფს, უნგრელი იგებს. ლეკომ თავიდან ტოპალოვს აჯობა, მესამე ტურში კი ადამსიც დაჯაბნა და ახლა 2,5 ქულით ლიდერობს. წინა რამდენიმე ტურნირში უღირსი გამოსვლის შემდეგ ჯერჯერობით საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს კარპოვიც. ტურნირის დაწყებამდე მან საჩვენებელი პარტია ითამაშა კომპიუტერული საჭადრაკო პროგრამების მსოფლიოს ჩემპიონ „შრედერთან“ და ყაიმს დასჯერდა, ხოლო თავად ტურნირში ორ ყაიმს შორის სოკოლოვიც დაამარცხა და ამჟამად ანანდთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. მერე კი მოდიან კრამნიკი თავისი ტრადიციული ყაიმებით და სხვები, მაჩანჩალობა კი, ბოლოდროინდელი სუპერტურნირების ტრადიციისამებრ, ისევ იან ტიმანის ხვედრია.

დორტმუნდის საჭადრაკო ბატალიების დაწყებისთანავე ერთმა დაპირისპირებამ პრაღაშიც იჩინა თავი. ჩეხეთის დედაქალაქს ესტუმრნენ კასპაროვი, შიროვი და იუდით პოლგარი, ოღონდ მსოფლიოს ჩემპიონმა მალე მიატოვა იქაურობა. პრაღაში კასპაროვი და იუდით პოლგარი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჩემპიონმა თამაშის უფლება შიროვს გადაულოცა, რაც, მისი აზრით, ამ უკანასკნელს ნაწილობრივ მაინც აუნაზღაურებდა მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონატის ფინალში უთამაშებლობას (შიროვის ადგილი ხომ ანანდს ერგო). შიროვიც, ცხენი რომ ვერ მიიღო, უნაგირს დაჰყაბულდა და პრაღას ჩავიდა 65 000 დოლარის მოსახვეჭად, გამარჯვებულს რომ ერგება. დამარცხებული 35 000 მიიღებს. შიროვმა და პოლგარმა დაგეგმილი ექვსიდან ორი პარტია უკვე ითამაშეს და ორივე ექს-რიგელმა მოიგო. პირველ პარტიაში, სადაც სიცილიური დაცვა გათამაშდა, პოლგარი განუწყვეტლივ უტევდა და უნდა ითქვას, ჭადრაკის არაპროფესიონალ მოყვარულსაც ესიამოვნებოდა პარტიის გარჩევა. შიროვმა გაუძლო დაწოლას, შეწირვებიც შეირგო და პირველი ქულაც ჩაიწერა. მეორე პარტიაში მან ფრანგული დაცვა ირჩია და თუმცა პოლგარი ისევ შეტევას ეშურებოდა, თავად შეუტია მეტოქის მეფეს. მანდილოსანი იძულებით თავდაცვაზე გადავიდა და მატერიალური ზარალის შემდეგ მეორედ მოაწერა ხელი კაპიტულაციას. პოლგარი და შიროვი 18 ივლისამდე იომებენ.

დავით გულუა

ჰოკეი

მოულოდნელი საფრონოვი

დრაფტზე არჩეულთაგან ამ ბიჭმა პირველმა მოაწერა ხელი კონტრაქტს, თუმცა რუსები მაინც წუწუნებენ

კირილ საფრონოვი

1999 წლის დრაფტზე არჩეულთაგან კონტრაქტი პირველმა... არა, №1 პატრიკ შტეფანი არ გეგონოთ, არც უნიჭიერესი ძმები სედინები, არც საუკეთესო ჩრდილოამერიკელი ჭაბუკი ტიმ კონოლი. ეს პატივი რუს მცველ კირილ საფრონოვს ერგო. 18 წლის ჰოკეისტმა ფინიქსთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მისი ფინანსური დეტალები უცნობია. თუმც ზოგიერთი რუსული გაზეთი აწუწუნდა, რა ეჩქარებოდა, ერთი სეზონიც მოეცადა და გაცილებით კარგ პირობებზე დაითანხმებდა ოკეანისგაღმელ ბოსებსო. ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრონოვი გამარჯვებული რუსეთის ნაკრების ყველაზე უმცროსი წევრი იყო, ხოლო ქვეყნის ჩემპიონატში ჩატარებულ 35 მატჩში 2 (1+1) ქულა მიითვალა.

სამველ ღარიბიანი



REUTERS ფოს დო ოგასუდან

კოპას ბიჭები





REUTERS ასუნსიონიდან

Ა ფოტოები, „კოპა ამერიკაზე“, ნახევარფინალური მატჩების წინაა გადაღებული. ბრაზილიელები მხიარულად ელიან ნახევარფინალს. ფოს დო ოგასუს ბანაკში ჭყუმპალაობა და ჩოგბურთის ბურთით კენწლაობაა გახურებული. სახეები ნაცნობია: რონალდო და რობერტო კარლოსი. ოთხეულში გამძვრალი ჩილეს ნაკრები დიდი გაქანებით ემზადება ურუგვაელებთან სათამაშოდ. ხავიერ მარგასს კისრის მალების გამოცოცხლება გადაუწყვეტია და ამ საქმეში ერთ-ერთ მწვრთნელს იხმარს.

გერმანია

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. ნახევარფინალი

ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘ 1:2 ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ

1:0 კირსტენი (6), 1:1 ზაიდელი (28), 1:2 ბოდე (77)

ავსტრია

III ᲢᲣᲠᲘ

ᲠᲐᲞᲘᲓᲘ 1:0 ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ

შვეიცარია

II ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲠᲐᲣ 1:1 ᲘᲕᲔᲠᲓᲝᲜᲘ

1. e2-e4 c7-c5; 2. ♘g1-f3 d7-d6; 3. ♗f1-b5+ ♔c8-d7; 4. ♗b5:d7+ ♕d8:d7; 5. c2-c4 ♘b8-c6; 6. ♘b1-c3 ♘g8-f6; 7. 0-0 g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. ♘f3-d4 ♗g7; 10. ♘d4-c2 ♕d7-e6; 11. ♘c3-d5 ♕e6:e4.

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ – ᲒᲝᲚᲤᲘ



ᲝᲚ ᲡᲢᲐᲠᲖᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲑᲔᲘᲡᲑᲝᲚᲘᲡ სამოცდამეათე ოლ სტარზი ამერიკის ლიგისა და ეროვნული ლიგის ნაკრებს შორის საიუბილეო და ხმაურიანი მოვლენაა. ამერიკის ლიგელმა მოთამაშეებმა ბოსტონის ფინვეი პარკში მოიყარეს თავი — აი, ამერიკის ლიგის სიეტლელი ვარსკვლავი კენ გრიფი, რომელსაც ჰოუმრანერთა თასი უპყრია ხელთ და იცინის. ესეც, კალ რიპკენი, ბალტიმორელი კეტისმცემელი, რომელიც თავის ვაჟ, რაიანთან ერთად მოსულა სავარჯიშოდ. კლივლენდელი კენი ლოფტონი კი ავტოგრაფებს არიგებს. ფინვეი პარკში ყველაფერი ვარჯიშის გარდა. ეს ოლ სტარზის ერთგვარი წესია: ლაღობა, გართობა, მოსალოდნელი სანახაობა და სტატისტიკოსთა განსჯანი.



REUTERS ბოსტონიდან





REUTERS სტოუკ პოჯიდან

საქველმოქმედო ყვანჯოსნობა

ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲐ: ᲡᲮᲕᲐᲡ ᲠᲐᲡ ᲔᲢᲧᲕᲘ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚ ᲛᲠᲑᲝᲚ ᲓᲔᲕᲘᲓ ᲙᲣᲚᲰᲐᲠᲓᲡ? ᲒᲐᲡᲣᲚ ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ ᲛᲐᲜ ᲡᲘᲚᲕᲔᲠᲡᲢᲝᲣᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲡᲐᲖᲔ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲡᲢᲝᲣᲙ ᲰᲝᲯᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲧᲕᲐᲜᲯᲝᲡᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲚᲤᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲐ...

REUTERS როდ აილენდიდან

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲓ ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲖᲔ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲠᲝᲓ ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲖᲔ მრავალმა საჩოგბურთო ვარსკვლავმა მოიყარა თავი. იქ, ჩოგბურთის დიდების დარბაზში დიადთა დამოწმების ცერემონიალი გაიმართა. სახელგანთქმულ ჯონ მაკინროის მთელი ოჯახობა მოუყრია აქ: ცოლი პეტი სმიტი, სამი წლისა და სამი თვის ქალიშვილები ანა და ევა, ცამეტი წლის გერი გოგონა რუბი და კვლავ თავისები, ქალ-ვაჟი შონი და ემილი. ასეა, ბავშვებმა უნდა იცოდნენ რა მამა ჰყავთ.

იმავ დღეს დარბაზში დაუმოწმებიათ მხცოვანი ავსტრალიელი კენ მაკგრეგორი, რომელსაც დიდების ნიშანს თანამემამულე დარბაზელი ლიკ სევიტი გადასცემს.

REUTERS როდ აილენდიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, �პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲯᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის განყოფილების გამგე ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli